

ბილინგვარი განათლება

BILINGUAL EDUCATION

**სამთხოველი-საგანგავლო დასკვი
უნივერსიტეტი**

N^o 7 2011

ეურინალი გამოიცემა ეუთოს ეროვნულ უნიტარებობითა
უმაღლესი კომისიის თავისის შპარდაჭყრის პრიუქტის „მულტილინგვის გინათვების
რეფორმის შპარდაჭყრის ხაქორივების“ ფარგლებში.



The journal „Bilingual Education“ is published in the framework of the project „Supporting Multilingual Educational Reform in Georgia“. The project is funded by the office of OSCE High Commissioner on National Minorities

რედაქტორი:

მსახ. წერეთლი, უნიტარების მულტილინგვის გინათვების მოქმედობის ასეთ სრული პროცესის

რედაქტორი:

ოსმე გამერიძი, უნიტარების ხანის ურთიერთების უნიტარების უნიტარების
უნიტარების უნიტარების ასეთ სრული პროცესის სკოლების მოქმედების მინისტრის სკოლების მინისტრის

ნინო გაბატიძე, „სამოქადაგო ასტრინის და ეროვნული აკადემიის
უნიტარების ცენტრის სკოლების მინისტრის“

ბრიგიტა შარაშენიძე, რიგის უნივერსიტეტის პროფესიონ. LVAVA;

ნინო შარაშენიძე, უნიტარების მულტილინგვის და მინისტრის
ოსურ ასეთ სრული პროცესის მინისტრის;

რეუენ ენუქაშვილი, არევის უნივერსიტეტის ხანის ცენტრი მინისტრის
უნიტარების და მინისტრის

კახა გაბუნია, უნიტარების მულტილინგვის გინათვების
ასეთ სრული პროცესის მინისტრის;

EDITOR:

Mzia Tsereteli, Doctor of Psychological science, Full Professor of Tbilisi State University

Editorial Board:

Prof. Dr. Jost Gippert, Chair of Comparative Linguistics, Johann Wolfgang Goethe University,
Frankfurt / Main

Shalva Tabatadze, Chair of Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations

Prof. Brigitte Silina, Riga State University, LVAVA

Prof. Nino Sharashenidze, CCIIR, Doctor of Philology, Tbilisi State University

Prof. Reuven Enoch, Ariel University Center of Samaria, The Department of Israel Heritage

Prof. Kakha Gabunia, CCIIR, Doctor of Philology, Tbilisi State University,

გამოცემის:

„სამოქადაგო ასტრინის და ეროვნული აკადემიის
უნიტარების ცენტრის“

PUBLISHER:

Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations
(CCIR)

შ ი ნ ა ს ი

ნაირა ბეპიევი, შედარებითი გრამატიკა ბილინგვური სწავლების დისკურსში (ქართული და ოსური ენების მაგალითზე)	გვ. 2
Naira bepievi, Comparative Grammar of discourse in bilingualismus (In the ex- ample of Georgian and Ossetian languages)	გვ. 9
თამარ გოგოლაძე, მარიკა შერაზადიშვილი, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრაქტიკული გამოცდილებიდან	გვ. 10
Tamar Gogoladze, Marika Sherazadashvili, From the practical experience of teaching Georgian, as a secondary language	გვ. 20
ნათელა მაღლაკელიძე, მულტილინგვური განათლება და მულტილინგვის ენის სწავლების მეთოდიკა	გვ. 22
Natela Maghlakelidze, Multilingual School and Native Language Teaching Ap- proach	გვ. 28
თამარ თვალაძე, პრეზენტაცია მასალებზე მუშაობის რეკომენდაციები . .	გვ. 30
Tamar Tvaladze, Some recommendations while working on newspaper materials.	გვ. 38
ლალი დალაჯიშვილი, სახელმწიფო ენის სწავლების მდგრადირეობა მოლისის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.	გვ. 39
Lali Dalakishvili, State language learning situation of Azerbaijani population in Bolnisi	გვ. 445
ნათელა მელიქიძე ბილინგვური განათლების მხარდაჭერა ჯავახეთში	გვ. 46
Natela Meliqidze, Supporting of the bilingual education in Javakheti region. . .	გვ. 48

ნაირა ბეპიევი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შედარებითი ბრამატიკა პილიგრიმი სტაციურული დისკურსი

(ქართული და ოსური ენების მაგალითზე)

აპსტრაქტი

ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება კერძოდ, ირანულ ჯგუფს, ქართული ენა კი - კავკასიურს. ბილინგვური სწავლების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ორი ენის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებები. აუცილებელია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიუანსების წარმოჩენა, მათი გათვალისწინება, შედარებითი ანალიზი.

ცნობილია, რომ ქართული ზმნას მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალება აქვს, წინადადებაში მაკორდინირებელი როლიც სწორედ მას უკისრება. სხვა ენებში ზმნას უჭირს ყველა იმ ნიუანსის გადმოცემა, რაც ქართულ ზმნას აქვს, (პირის რაგვარობის წარმოჩენა, კონტაქტი და სხვ.). ბილინგვური სწავლების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ზმნის თავისებურებების სათანადოდ გადმოცემა. ასევე, გასათვალისწინებელია სახელებისა თუ სხვა მეტყველების ნაწილთა თავისებურებები.

მნიშვნელობა ენიჭება (შესასწავლი ენების) შედარებითი გრამატიკის აუცილებლად გასათვალისწინებელი კურსის გაცნობა-შესწავლა, რაც მათ დიდად დაეხმარება ენების წარმატებულად დაუფლებაში.

ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება, კერძოდ კი - ირანულ ჯგუფს, ქართული ენა კი - კავკასიურს. ბილინგვური სწავლების დროს აუცილებლად გასათვალისწინებების დაუცილებლად

ლია ამ ორი ენის სტრუქტურული, ენობრივი თავისებურებები. აუცილებელია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიუანსების წარმოჩენა, მათი გათვალისწინება, შედარებითი

ანალიზი. ცნობილია, რომ ქართულ ზმნას საკმაოდ მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალება აქვს, წინადადებაში მაკომრდინორებელი როდიც სწორედ მას ეკისრება. ზოგიერთ სხვა ენაში ზმნას უჭირს ყველა იმ ნიუანსის გადმოცემა, რაც ქართულ ზმნას აქვს, (პირის რაგვარობის წარმოჩენა; სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ურთიერთმიმართების საკითხი; კონტაქტი; ქცევის კატეგორია და სხვ.).

ბილინგვური სწავლების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ზმნის თავისებურებების გადმოცემა სათანადოდ. კერძოდ, გარდამავალი ზმნის შესატყვისი სუბიექტის ბრუნვის საკითხი. გარდამავალი ზმნის სუბიექტი I, II და III სერიის ზმნასთან ქართულ ენაში სამ ბრუნვაში გვხვდება; I სერიის ზმნასთან ის სახელობით ბრუნვაში დგას, მეორე სერიის ზმნასთან მოთხოვით ბრუნვაშია, ხოლო მესამე სერიის ზმნასთან - მიცემითში. განსხვავებით ქართული ენისაგან, ოსურ ენაში მოთხოვითი ბრუნვა არა გვაქვს და სუბიექტი მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დგას (იშვიათად ნათესაობითში). მოქმედი I სერიის ზმნასთანაც სახელობით ბრუნვაში დგას და II და III სერიის ზმნებთანაც. ოსურში ბუნებრივია:

ლეგ ხуды კაცი იცინის, ლეგ ბახუდთ კაცი გაიცინა (ნაცვლად - კაცმა გაიცინა). ოსური ენის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ბუნებრივია ასეთი წარმოთქმა: მამალი ყივის, მამალი იყივლა, მამალი უყივლია.

ქართულ ენაში კონტაქტი ზმნის ის ფორმაა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს შუალობითი და უშუალო კონტაქტი.

შუალობით კონტაქტს აქვს თავისი მაწარმოებლები: -ინ, -ევ, -ევინ, -ვინ, -ებინ.

ოსურ ენაში შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად ზმნის საწყისი ფორმაა გამოყენებული, რომელსაც დაერთვის დამხმარე ზმნა კენი - არავინ ეს ყო კენი - აკეთებინებს, ამელი ეს ყო კენი - აკვლევინებს.

იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ისედაც მეშველზმნიანია, უშუალო კონტაქტის გამოსახატავად ზოგ შემთხვევაში კიდევ ერთხელ დაერთვის საწყისს მეშველი ზმნა.

ხერი კენი - აჭმევს, ныვ ყო კენი - უხატავს.

ხერი ყო კენის კენი - აჭმევინებს; ныვ ყო კენის კენი - ახატვინებს.

ასეთ შემთხვევაში გარდამა-
ვალი ზმნის სუბიექტი (ის) რეალურად მოქმედ პირს (მას), ირიბ ობიექტს ასრულებინებს მოქმედებას.

ქართულ ენაში ზმნა გამო-
ხატავს კუთვნილება-დანიშნულე-
ბასაც. ობიექტი არავისი კუთვ-
ნილება არ არის და არც
ვისთვისმეა განკუთვნილი; ობიექტი მოქმედ პირს, სუბიექტს ეპუთვნის; ერთი ობიექტი ეპუთვნის მეორეს ან მისთვის არის განკუთვნილი. ამის მიხედვით გვაქვს სამი ქცევა:
საარვისო (**გაშენება**), სათავისო (**გიშენება**) და სასხვისო (**კუშენება**),
ანუ, რაც იგივეა, სამი ვერსია:
ნეიტრალური, სასუბიექტო და
საობიექტო (ა. შანიძე). ქცევის სხვადასხვა ფორმა ქართულში ზოგჯერ პრეფიქსებით არის გადმოცემული (**ა-კონება, ი-შენება, უ-წერა**), ზოგჯერ მხოლოდ ფორმით (**წერა**).

როგორ გადმოიცემა ქცევის სხვადასხვა ფორმა ოსურ ენაში?

ოსურ ენაში ქცევას ზმნის ფორმა ვერ გადმოსცემს. პრეფიქსე-
სუფიქსების დართვით, ზმნის რო-
მელიმე ფორმით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ქცევის ნებისმიერი ფორმის გადმოსაცემად აუცილე-
ბელია ზმნას დავურთოთ შესაბამი-
სი სახელები ან ნაცვალსახელები.
მან სახლი ააშენა - უყი ხედვა
სამადთა (საარვისო ქცევა - ნიკაიონ

არქაიდ), მან თავისოცის სახლი აი-
შენა უყი ხედვა სამადთა იხილენ
(სათავისო ქცევა - ხიონ არქაიდ),
მან მას სახლი ააშენა უყი
კემენდერ ხედვა სამადთა (სასხვისო
ქცევა - ისკაიონ არქაიდ). ერთ
შემთხვევაშიც, მეორე შემთხვევაშიც
და მესამე შემთხვევაშიც ააშენა
(სამადთა), ერთი და იმავე ფორმით
არის გადმოცემული. კუთვნილებ-
ით-დანიშნულებითი ურთიერთობის
გადმოსაცემად ოსურ ენაში ზმნა
არ იცვლის ფორმას, ფორმას იც-
ვლის სახელი ან შესაბამისად ნახ-
მარი ნაცვალსახელი.

სათავისო ქცევის გადმოსაცე-
მად ოსურში აუცილებელია კუთვ-
ნილებითი ნაცვალსახელების
ჩართვა. აქ რამდენიმე შემთხვევა
ცალ-ცალება განსახილებელი:

1. როცა ზმნის მოქმედება I
პირისთვისაა განკუთვნილი I პირის
კუთვნილებითი ნაცვალსახელია
ნახმარი (პირველი პირის პირის
ნაცვალსახელთან ერთად):

ეს მეხი დასან მე ვიპარსავ

სათავისო ქცევის გამოხატვის
დროს აუცილებელია ზმნასთან
ერთად ვიხმაროთ პირისა და კუთვ-
ნილებითი ნაცვალსახელები ერთად.
ავიშენე ფორმა გადმოიცემა I პი-
რის პირის ნაცვალსახელი + I პი-
რის კუთვნილებითი ნაცვალსახელი
+ ზმნა (საარვისო ქცევაში):

ზე სახლი ავაშენებ ჩემთვის (სახლი ავაშენებ) ეს მეხიცან ხადვერ სამედთო.

ასეთივე მიმართებაა სხვა შემთხვევებშიც.

რაც შეეხება სასხვისო ქცევას, აქ შემდეგნაირი კონსტრუქცია გვაქვს:

1. I პირის პირის ნაცვალსახელი + მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა (უდლებადი ფორმა, საარვისო ქცევა);

ზე მისთვის სახლი ავაშენებ (სახლი ავაშენებ) ეს უყოფა ხადვერ სამადთო

2. II პირის პირის ნაცვალსახელი + მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა;

შენ მისთვის სახლი ააშენებ (სახლი ააშენებ) და უყოფა ხადვერ სამადთა.

3. III პირის პირის ნაცვალსახელი + მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა;

მან მისთვის სახლი ააშენებ (სახლი ააშენებ) უყოფა ხადვერ სამადთე.

უყოფა მან ხადვერ სამედთე მან ჩემთვის სახლი ააშენებ (ამოშენებ).

უყოფა დაუყოფა ხადვერ სამედთე მან შემთვის სახლი ააშენებ (აგოშენებ).

უყოფა უყოფა ხადვერ სამედთე მან მისთვის სახლი ააშენებ (აუშენებ).

უარყოფითი ნაწილაკები არ და გერ ქართულში მოქმედების ნიუანსობრივ სხვადასხვაობას გამოხატავენ. მათი დართვა ზმნით აღნიშნულ მოქმედებას უარყოფით კონტექსტს ანიჭებს, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულს. კერძოდ არ ნაწილაკი ზმნასთან ერთად აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, როდესაც სუბიექტს არ სურს მოქმედების შესრულება, მოქმედება მისი ნებელობის შესაბამისია: არ დაგწერ! არ დაგხატა! ასეთ ნათქვამს კატეგორიულობის ნიუანსს არ ნაწილაკი სძენს. ხოლო გერ ნაწილაკი, რომელიც ასევე უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ასეთი კატეგორიულობისაგან დაცლილია, ის აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც სუბიექტის ნებელობის მიუხედავად, შესაძლებელი არაა: ვერ დავწერ, ვერ დავხატავ, ვერ შევჭამ. ოსურ ენაში უარყოფითი ნაწილაკი ჩატარდება გამოხატავს ორივე ნიუანსს – კატეგორიულსაც და შესაძლებლობიდან გამომდინარესაც.

ნე ნიფისტონ არ დაგწერე – კატეგ. ნიუანსი;

ნე ნიფისტონ არ დამიწერია – ნეიტრ. ნიუანსი;

ნე ნიფისტონ გერ დაგწერე – შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში ოსურ ენაში მოქმედი ამატებს სიტყვებს (არ შემეძლო), როთიც ის განმარტავს, რომ არ შეეძლო

დაწერა (სხვადასხვა მიზეზთა გამო).

ოსურში დასტურდება როგორც წინდებული (Разёвёрдтё, Раздзырдтё) ისე უკუდებულები ანუ თანდებულები (Фёсёвёрдтё, Фёсдзырдтё). როგორც წინდებული, ისე უკუდებული თანდებულს წარმოადგენს, რომელიც „დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდგომარეობა, მიმართულება, დანიშნულება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან“ (შანიძე, 1969).

უკუდებულებთან შედარებით წინდებულები ოსურში მხოლოდ რამდენიმეა, კერძოდ;

ედ - თან, - იან-ად უკუდებულები (თანამედროვე ქართულში თანდებული პრეფიქსად იშვიათია. სპეციალურ ლიტერატურაში უკუდებულს, ჩვეულებრივ, თანდებულს უწოდებენ).

ედ-ტერთე - იარაღიანად; ედ-დзаума - ნივთებიანად

წინდებული ედ მხოლოდ არსებით სახელებს დაერთვის და ისიც მხოლოდ სახელობით ბრუნვაში. დაუშვებელია მასა და სახელს შორის სხვა სიტყვის ჩართვა (ახვლედიანი, 1968, 296).

წინდებული ედ ოსურში ცნობილია, როგორც არაპოდუქ-

ტიული წინდებული, ხოლო ენე - როგორც პროდუქტიული (5. 48).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სუფიქსებს **-იან**, **-ოსან**, **-ოვან**, **-იერ**, რომლებიც ქონების სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია ქართულში, ოსურში შეესატყვისება სუფიქსი **-ჯын**; ჟდრ: დურ-ჯын - ქვიანი; ფყიდ-ჯын - ხორციანი.

ენე - უ - ო; უ; ენე-ვენერ - უ-შვილ-ო; ენე-მათ - უ-დარდ-ო (უდარდელი).

წინდებული ენე სახელებთან სახელობით ბრუნვაში დგას (ეს წინდებული მნიშვნელობით ახლოს არის ქართულ ცალკე მდგომ თანდებულთან - გარეშე):

განსხვავებით ედ წინდებულისაგან, ენე წინდებულსა და მასთან თანმხლებ სიტყვას შორის ზოგჯერ შეიძლება იდგეს მსაზღვრელი, მათ შორის ნაცვალსახლიც. (აბაევი, 1970, 296).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოსურში ენე წინდებულს ზოგჯერ ენაცვლება მისი შემოკლებული ვარიანტი ე, რაც იმავე მნიშვნელობით იხმარება (აღნიშნავს უყოლობა-უქონლობას) (აბაევი, 1970, 678). ე-დзар - უ-სახლკარ-ო; ე-დых - უ-დონ-ო.

გარდა ამისა, ოსური ენის ზოგი მკლევარი გამოყოფს მესამე წინდებულსაც ფეйნე, რომელიც

რაოდენობის სემანტიკას გამოხატავს (მედოითი, 2003, 235). წინდებული ფეინე (მნიშვნელობით უახლოვდება - თითო ან ერთი.... (ერთი ხუთი, ერთი ოცი, ერთი სამი გაშლი მომცა) უმეტესად სახელობით ბრუნვაში დგას, თუმცა სხვა ბრუნვებშიც გგხვდება.

ერთმარცვლიანი თანდებულები - ვით, - თან, - ზე -ში, - თვის - გან (დან) ქართულში სახელთან არის შერწყმული. ასეთი სახის თანდებულები ოსურ ენას არა აქვთ. ამ თანდებულთა ფუნქციას ოსურში გარკვეული ბრუნვის ნიშნები ასრულებენ (და არა თანდებულები).

შდრ: ხადვერაუ - სახლივით; ხადვერეებ -სახლიდან.

- გან თანდებულიანი (ნათ. ამხანაგისა - გან) და -დან/იდან თანდებულიან (მოქმ. წყაროდან; სოფლი-დან) სახელებს ქართულში ერთმანეთისაგან განსხვავებული კითხვები დაესმით: ვისგან? საიდან?

ორივე ეს სახეობა ოსურში ნათესაობითი ბრუნვის ერთი ფორმით არის გადმოცემული. არის პირიქითაც, როცა ქართულის ერთ თანდებულს ოსურში ორი შესატყვისი აქვთ.

მაგ.: სოფელში წავდი - ხაუთამ აციდთან, სხვა ფორმაა - სოფელში ვარ - ხეეuty დენ სოფელში ვარ), -ში თანდებულია გამოყენებული ქართულში სტა-

ტიკის დროსაც და დინამიკის დროსაც. ოსურში ეს ფორმები აშკარად განსხვავებული ბრუნვის ფორმებით გადმოიცემა. ხაუთამ - სოფელში მივდივარ; ხეეuty - სოფელში ვარ

რუსული: В школе (находится)

В школу (ходит)

საფიქრებელია, რომ ოსურში, მისი განვითარების აღრეულ საფეხურზე დღევანდელთან შედარებით უფრო მეტი თანდებული უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს ადასტურებს ოსური ენის დიგორულ დიალექტში შემორჩენილი ზოგიერთი ფორმა, რომელთა ნაწილი სალიტერაციურო ენაშიც არის დამკვიდრებული. ასეთად გვესახება, მაგალითად:

Раз-дарён (წინსაფარი); დელ-базыр (ფრთებს ქვემ); დეл-барац (დამოკიდებულება); უეл-арв (ზეცა).

როგორც ვნახეთ, ქართული ზოგიერთი თანდებულის ფუნქციას ოსურში წინდებული და თანდებული ასრულებს. ზოგ შემთხვევაში ქართული თანდებულიანი ფორმა ოსურში ბრუნვის ნიშნით არის გადმოცემული. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ოსურ ენაში ზმნა ვერ გამოხატავს პუთვილებით-დანიშნულებით ურთიერთობას სხვა მეტყველების ნაწილების დაუხმარებლად. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ქართულთან მი-

მართებაში, სადაც ზმნა ამ ფორმებს უმეტეს შემთხვევაში სათანადო ნიშნებით გადმოსცემს. ოსურიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს საჭიროა ასეთი ფორმები გადმოიცეს შესაბამისი ქცევის ფორმით (სახლი ავიშენე და არა სახლი ავიშენე ჩემთვის).

ამრიგად, ბილინგვური სწავლების დროს აუცილებელია (შესას-

წავლი ენების) შედარებითი გრამატიკის აუცილებლად გასათვალისწინებელი კურსის შესწავლა, შესასწავლ ენათა ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სხვა სახის თავისებურებების გაცნობა, რაც მსმენელებს, ამ ენათა შესწავლის მსურველებს დიდად დაეხმარება ენების წარმატებულად დაუფლებაში.

ბამოყვებული ლიტერატურა:

შანიძე, 1969 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ტ. I. თბ., 1969.

ახვლედიანი, 1968 - Грамматика осетинского языка, т. I, под редакцией проф. Г.С.

Ахвледиани, Орджоникиძе, 1968.

აბაევი, 1970 - В. Абаев, Краткий грамматический очерк осетинского языка в книге

Осетинско-русский словарь, Орджоникиძе, 1970.

მშობლიური ლიტერატურა, 1974 - Мадёлон литературы, Цхинвал, 1974.

გაბარაევი, 1987 - Габараев Н. Я. Ирон ёвзаг, ахуыргёнэн чиныг 5-6 кълестён,

Цхинвал, 1987.

თახაზთი, 1991 - Тахъазты Т., Ирон Ёвзаг, Дзёуджыхъёу, 1991.

მედიოთი, 2003 - Медойты Б. Г., Нырыккон ирон ёвзаг морфологи, Цхинвал, 2003.

Naira bepievi

Tbilisi State University

Comparative Grammar in discourse of bilingual learning (on the example of Georgian and Ossetian languages)

ABSTRACT

Ossetian language belongs to Indo-European languages, more specifically to the Iranian group of languages. Georgian language is a part of the Caucasian language group. There is absolutely necessary to take into account the patterns of structural and linguistic character of each language as well as phonetic, morphological and syntax particularities while doing comparative analysis.

Worth mentioning is that the Georgia verb has a variety forms and possibilities of expression. It is known that the Georgian verb is characterized with multi-expressions expression and at the same time plays a coordinating role in the sentence. This is not true to other languages where verb can't express all the patterns that Georgian verb does. (Person ascertaining, contact, ect.)

The essential in bilingual learning is to consider an importance of teaching of verb particularities. Moreover, is necessary to accept an importance of the noun and other grammar parts. Accordingly, there is very important to incorporate learning of comparative grammar into the language course that makes the language acquiring process successful.

**თამარ გოგოლაძე
მარიკა შერაზადიშვილი
გორის სახწავლო უნივერსიტეტი**

**ქართულის, რომორც მეორე ენის სუბპლანის
პრაქტიკული გამოცდილებისას**

აბსტრაქტი

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები ერთგვაროვანი ეთნოსით დასახლებული სახელმწიფოებისათვის ფრიად განსხვავდება ისეთი ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკისაგან, სადაც ძირითადი მოსახლეობის გვერდით გვხვდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ენა, კულტურა, ტრადიცია. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესული საქართველოსათვის ამ პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი, რამაც განაპირობა კიდეც როგორც ქართველისათვის, ისე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობისათვის რუსული ასიმილაციურული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებაც.

1990-1991 წლებიდან თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის წყალობით ჩამოყალიბდა ქართული ენის წრე გორის სამუსიკო სასწავლებელთან არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის, რომელმაც ერთ წელს იარსება და საინტერესო შედეგები თუ პრაქტიკული გამოცდილება მოგვცა.

2010-2011 სასწავლო წლიდან ჩავერთეთ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში, რის პრაქტიკული მომენტების წარმოდგენაც ვცადეთ წინამდებარე ნაშრომში.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები ერთგვაროვანი ეთნოსით დასახლებული სახელმწიფოებისათვის ფრიად განსხვავდება ისეთი ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკისაგან, სადაც ძირითადი

მოსახლეობის გვერდით გვხვდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ენა, კულტურა, ტრადიცია. ეს პრობლემა საქართველოსათვის საუკუნეთა განმავლობაში იყ

აქტუალური. იგი ხშირად იყო დამოკიდებული მეზობელი ქვეყნების გავლენა-ბატონობასა თუ მიკერძოებულობაზე და ლოიალობას იჩენდა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების, ცალკეული ოჯახებისა თუ პიროვნებების მიმართ. მაგალითად, სპარსელი ან თურქი მკვიდრდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და „იოლად გადიოდა“ (ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე) რამდენიმე სიტყვის ან კომუნიკაციისათვის აუცილებელი პროფესიული თუ სხვა ლექსიკის, დამახინჯებული ფრაზების, გამოთქმების წყალობით. დომინანტი ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა, დაკავშირებული იყო მის სარწმუნოებრიობასთან, რამდენადაც ქართულ ეკლესიაში წირვალოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცაშინა ქართულითა ენითა უამის შეიწირვის და ლოცვად კოველი აღესრულების, ხოლო „აპრილ-დცხონი“ ბერძნულად ითქმის“ (მერჩულე, 1999, 162). ამავდროულად თვით ქართველი, ძირითადად, რამდენიმე ენას ფლობდა ქართული ენის გარდა, ვიდრე XIX საუკუნემდე (მაგალითისათვის: პოეტი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე ფლობდა თურქულ,

სპარსულ, რუსულ, ფრანგულ ენებს). ასე რომ, სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოყენება არ ქმნიდა პრობლემას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე XIX საუკუნემდე, ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, როცა იმპერიის ასიმილატორული „ენობრივი პოლიტიკის წყალობით“ ქვეყანა თავისი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად იძულებული გახდა ეცნო მესამე ენის (რუსული ენის) დომინანტი ჯერ ინსტიტუციონალურ, შემდგომ კი საგანმანათლებლო დონეზეც.

ეს პროცესი უფრო გართულდა ე.წ. „საბჭოურ ეპოქაში“, როდესაც ყველა ეთნიკური ჯგუფის ან ეროვნების ნებისმიერი მოქალაქისათვის ქართული ენის შესწავლა სამენოვნებას გულისხმობდა (მშობლიურისა და რუსულის გარდა). აქაც წლობით გრძელდებოდა დაშვებული შეცდომების გამეორება-განმტკიცება: არა-ქართულენოვანი პირები სახლდებოდნენ, იწყებდნენ მუშაობას, ქმნიდნენ თჯახებს, მრავლდებოდნენ და სწორედ „ენის ბარიერის“ წყალობით უახლოვდებოდნენ ქართულ სამყაროს, ქართულ ყოფასა და კულტურას. არაიშვიათად ეს პროცესი იდებდა აგრესიულ ხასიათსაც. არაქართულენოვანი მოსახლეობა ბრაზს, გულისწყრომას, სიხარულს გამო-

ხატავდა ძირითადად რუსულ ენაზე, რაც, მისი აზრით, გასაგები იყო ამ ენის მცოდნე ქართველისთვისაც. ეს პროცესი კი, თავისოფად, ქართულ სამყაროსთან გაუცხოების პარალელურად, იწვევდა გაუცხოებას საკუთარ მშობლიურ ენასა და კულტურასთან, ნებისმიერი მარტივი ტექსტი (აფიშა, განცხადება) ქართულ ენაზე მათთვის იყო უცხო და გაუგებარი.

„საბჭოურ ეპოქაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება რუსულენოვან სკოლაში მიმდინარეობდა ცალმხრივად, სტიქიურად, ძირითადად ენასთან დაქვემდებარებაში, ენის სწავლების შედარებით თანმიმდევრულობის პარალელურად; ტექსტებისა და, კერძოდ, მხატვრული ტექსტების შერჩევა ხდებოდა ნაკლებად მიზანმიმართულად, ხშირად უსისტემოდ, ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ლიტერატურის პროგრამების ხელოვნური პარალელიზაციით. ქართული ტექსტის შესწავლის მიღმა რჩებოდა მისი მხატვრული თუ იდეური დირქბულება (ან პირიქით, იკვეთებოდა მხოლოდ იდეური), ენის, ერის ტრადიცია.

ადნიშნული პროცესი შედარებით სისტემურ იქნს იდებს დამოუკიდებელი საქართველოს არაქართულენოვან

სკოლებში, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, სასკოლო რეფორმის პერიოდში. მაგრამ აქაც იგი კვლავ უფრო ხშირად რუსული ენისა და ლიტერატურის „მეშვეობით“ მიღის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებამდე, საქართველოს, იქ მცხოვრები არაქართულენოვანი ეროვნებების ტრადიციის, ეთნიკური რეალობის შემცნების გარეშე, რაც განსაკუთრებით რთულია საშუალოგანათლებამიღებული სხვადასხვა ერის ადამიანთა ნორმალური ცხოვრების, დასაქმების თუ უბრალოდ, ინტეგრაციისათვის. სწორედ XX საუკუნის 90-იან წლებში (1990-1991 წ.წ.) გორის იმდროინდელი გამგებლის, ომარ ჩუბინიძის ინიციატივით, გორის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორთან, სანდო კაჭარავასთან შეთანხმებით, გადაწყდა ჩამოგვეყლიბებინა ქართული ენის შემსწავლელი წრე. აქ უკვე სახელმწიფო ბრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, ცხადი და აუცილებელი გახდა ქართულ ენაზე წერა-კითხვის ცოდნის მიღება საქართველოში მცხოვრებ და სხვადასხვა დაწესებულებებში რუსულ ენაზე მომუშავე პირებისათვის. ამიტომ გაკეთდა განცხადება, რომლის თანახმადაც ვიწვევდით სამეცადინოდ კვირაში ორჯერ ყველა ასაკისა და

პროფესიის ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს. შეიკრიბა 20-მდე სხვადასხვა ასაკის, პროფესიის ადამიანი, მათ შორის, ერთი ოჯახის რამდენიმე წევრი (დედა, შვილი, შვილიშვილი), რომლებიც დიდი დაინტერესებით მოქადნენ სწავლის პროცესს. წერა-კითხვის სწავლების პარალელურად მიმდინარეობდა საუბრები ქართულ კულტურაზე, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებზე, ქართულ ლიტერატურაზე. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ დავიწყეთ აღწერით და თხრობით ტექსტებზე მუშაობა. განსაკუთრებით შედეგიანი იქნ აღწერითი ტიპის ტექსტები და ანდაზა-აფორიზმები. აქ პირველად დაინახეს მსმენელებმა წლობით მათვის სრულიად უცნობი ერის სიბრძნე, სილამაზისა და შრომისადმი დამოკიდებულება. მსგავსი კურსები გაიხსნა და ორი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა იმ დროისათვის გორში მრავალეროვანი კოლექტივით ცნობილ ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში. ორი წლის შემდეგ კურსების მუშაობა შეწყდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო.

წლების განმავლობაში აღნიშნულ პრობლემებზე, კერძოდ, ბილინგვიზმის და, საერთოდ,

საგანმანათლებლო პოლიტიკის საკითხებზე ფიქრს, მსჯელობას, უცხოური გამოცდილების გაცნობა-გაზიარებას მოჰყვა კიდევ 2008 წლის დეკემბერში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათ-შორისი ურთიერთობის ცენტრისა“ და თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალებშიც მკაფიოდ განისაზღვრა სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. „ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის პოლიტიკის უმნიშვნელოვანების საკითხია. ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა პირდაპირად მიბმული ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტიდან გამომდინარეობს. საქართველოს რეალობაშიც ენობრივი პოლიტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისათვის და, შესაბამისად, კომპლექსურ და ერთიან მიღებობას მოითხოვს“, – ნათესავია ერთ-ერთი მოხსენების შესავალში (გაბუნია, 2008, გვ. 3). ამ მასალებში მკვეთრად წარმოჩნდა მულტილინგვიზმი განათლების (რომელიც საქართველოს განათლების რეფორმის შემადგენელ ნაწილად იქცა) დასაწყებად აუცილებელი

სამნაწილიანი კონტექსტი: 1. პოლიტიკური, 2. საკანონმდებლო, 3. თეორიული. განისაზღვრა მულტილინგვური განათლების პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლებიც (განსახლება და დემოგრაფიული მდგომარეობა, საბჭოთა შემკვიდრეობა და საბჭოთა კავშირის ნგრევა, საგანმანათლებლო რეფორმა). აქვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, როგორც ჩანს, ქართულის, როგორც მეორე ენის პროტოტიპის მოსაგარებლად „უფრო სტრატეგიული დონისძიებებია გასატარებელი, რათა ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებს მიეცეთ განათლების თანაბარი შესაძლებლობა უმრავლესობასთან მიმართებით“ (გაბუნია, 2008, გვ. 5). ამ შემთხვევაში ძირითად საკითხად იქცა ის, რომ მულტილინგვური განათლება, ან ზოგიერთი საგნის ქართული ენის საშუალებით სწავლება იქცეს ამ სიტუაციაში პროტოტიპის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზად.

საკანონმდებლო კონტექსტიდან გამომდინარე, „საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად უსვამს ხაზს სახელმწიფო ენის მნიშვნელობას სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროებში და, ამასთანავე, ქმნის გარანტიებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად, მათ შორის

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება (გაბუნია, 2008, გვ. 6).

აღნიშნულ კონფერენციაზე გამოიკვეთა ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესაძლებლობების გაუმჯობესების გზებიდან მნიშვნელოვანიც: „ქართულისა და უცხო ენის ტესტის დამსახურებაზე (Marit) დაფუძნებული სისტემის შესაქმნელად უპრიანი იქნება აბიტურიენტების ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ უნარების ტესტზე დაყრდნობით მოხდეს“ (ტაბატაძე, 2008, გვ. 19), ხოლო შემდგომ კი სახელმწიფო ენის, როგორც მეორე ენის სწავლების განხორციელებაც.

ბუნებრივია, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის საბჭოში შემუშავებული სტანდარტებისა თუ რეკომენდაციების გამოყენებასაც, რომლის ძირითადი პროექტია „ევროპული ენობრივი პორტფოლიო. ამ პროექტის კოორდინატორის, მარიკა ოძლის განცხადებით, 2001 წლიდან იწყება ევროსაბჭოს მიერ აღნიშნული პროექტის მეორე ეტაპი პოსტსაბჭოურ სივრცეში. ენობრივი პასპორტით განსაზღვრულია კრიტერიუმები: აუდიორება, წაკითხვა, დიალოგი, მონოლოგი, წერა და დონეები. მომზადდა და გამოიცა ევროსაბჭოს ათი მნიშვნელოვანი

დოკუმენტიც. კონფერენციის მასალებში განისაზღვრა მეორე ენის სწავლების თეორიული ასპექტები. ამას მოჰყვა 2010 წლიდან პროექტის - „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების“ ტრენინგები და საკითხავების (Readers) გამოცემა.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მეორე ენა უნდა გახდეს ინსტრუმენტი, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს ეზიაროს სხვა კულტურას, განსაზღვროს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და შეითვისოს ქცევის ტიპი, დამახასიათებელი ამ კულტურის წარმომადგენელთათვის. მხოლოდ ასე თუ შეიძლება გახდეს სტუდენტი კულტურათშორისი დიალოგის სრულფასოვანი წევრი. ცნობილია, რომ ენას ზოგი იოლად სწავლობს, ზოგი - ძნელად. სწავლების პროცესში პედაგოგი ეძებს ისეთ გზებს, რომელთა მეშვეობითაც ენის სწავლება იქნება ეფექტური და სასარგებლო. „ენისადმი სიყვარულს ვერ ასწავლი, სიყვარული შეიძლება მხოლოდ აღძრა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ენისადმი სიყვარულის აღმდერის მეთოდების ცოდნა“ (შეუკინი, 1990, გვ. 7).

ენის სწავლების ძირითადი მეთოდები პირობითად თუ დიდ ჯგუფად ერთიანდება - ესაა კომუნიკაციის პროცესში ინტე-

ციური ათვისება (საკომუნიკაციო მეთოდები), ან ენაში არსებული წესების, ლექსიკური და გრამატიკული წყობის შეგნებული ათვისება (ტრადიციული მეთოდი). არსებობს კი უნივერსალური მეთოდი? უნივერსალური მეთოდი არ არსებობს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ერთი მეთოდი არ იძლევა პირდაპირ შედეგს. ნებისმიერი მეთოდის გამოყენება ჯერ გარკვეული სასწავლო ქმედების სტიმულირებას იწვევს, მხოლოდ ამის შემდეგ როგორც შედეგს, ვიღებთ შესაბამის ცოდნას.

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას ამოსავალია სტუდენტი, როგორც სასწავლო პროცესის (ქმედების) სუბიექტი და როგორც კულტურათშორისი დიალოგის სუბიექტი, თავისი ინდივიდუალური ხედვით, მოტივაციით, ემოციებით, ინტერესებით და მოთხოვნილებებით.

2010-2011 სასწავლო წლიდან მივიღეთ პირველი სომხურენოვანი სტუდენტი. ვინაიდან მუშაობა გვიხდებოდა ერთ სტუდენტთან, პრაქტიკულად თავიდანვე გამოირიცხა ჯგუფური მუშაობის და როლური თამაშების მეთოდები. ამიომ ჩვენ ვცადეთ გამოგვენებინა ტრადიციული მეთოდოლოგიის ელემენტების (მარტივიდან როლურისაკენ, ადვილად

გასაგებიდან - მნელადგასაგები-საკენ) პარალელურად ინტერ-აქტიურ-კომუნიკაციური მეთოდო-ლოგია, რომელიც წარმოგვიდგება ფორმალური აკადემიური სწავლის სახით. სწავლების პირველ ეტაპზე, ბუნებრივია, ხდებოდა საბაზო კომუნიკაციური უნარების განვითარება, ისიც არატრადი-ციული ინსტრუქტაჟით. ეს მეტად ძნელი აღმოჩნდა, რამდენადაც სტუდენტი არ ფლობდა თითქმის არც ერთ ენას (მცირე საკომუნიკაციო ლექსიკის გარდა), გარდა მშობლიურისა, თუმცა იცოდა ანბანი. აქ განსა-კუთრებული დახმარება გაგვიწია ჩვენი უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალცოდნების ფაკულ-ტების სტუდენტმა, რომელიც ორი წლის წინ ჩაირიცხა გორის უნივერსიტეტში და დამოუკი-დებლად შეძლო ქართული ენის შესწავლა და რომელთან ერთადაც ცხოვრობს ჩვენი ახლადჩარიცხული სტუდეტი. ახლადჩარიცხულ სომხურენვან სტუდენტს, პირო-ბითად, ვუწოდებთ X, ხოლო დამოუკიდებლად შემსწავლელ სტუდენტს - Y. ეს ორი სტუდენტი სხვადასხვა რაიონიდან იყო - ერთი ნინოწმინდიდან, მეორე - ახალქალაქიდან. მიუხედავად ამისა, მათთან მუშაობა გული-სხმობდა უმცირესი საკომუნიკაციო

ბაზისის მქონედან (სავარაუდოდ A1) საკმაო დონის (სავარაუდოდ B2) სტუდენტთან მუშაობას, რაც, ერთი მხრივ, ემსახურებოდა დახმარებას X-ისათვის, მეორე მხრივ, Y-ისათვის ახალი ლექსიკური მარაგის, ფრაზეოლო-გიზმების და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. ლექციის გარეშე საუბრებში გამოიკვეთა Y-ის ძირითადი მიზნები და ამოცანები ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებით. მან ჩარიცხვის შემდგენე გაიარა მოსამზადებელი კურსი თსუ-ში, შემდგომ მოხვდა სრულიად უცხოენოვან გარემოში და, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დაიწყო ენის გაგება - შესწავლა. მისთვის ცხადი იყო, რომ თუ არ შეისწავლიდა სახელმწიფო ენას, მისი მეგობრების და მეზობლების მსგავსად, მოუხდებოდა სომხეთის რესაუბლიკაში გამგზავრება უმაღ-ლესი განათლების მისაღებად, იქიდან დაბრუნებულს კი გაუჭირ-დებოდა ინტეგრაცია და სამ-სახურის მოძიება ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში. ამავდროულად, ის ვერ შეძლებდა, ოჯახის ფინანსური შესაძლებ-ლობიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფოში სწავლას. სწორედ ამან განაპირობა მისი სწრაფვა - შეისწავლოს ქართული ენა, რომ

შეძლოს არამარტო პროფესიის დაუფლება, არამედ სწორი ინტეგრაცია საკუთარ საცხოვრებელ ადგილას ან, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ნების-მიერ კუთხეში.

Х-ისათვის იგივე პრობლემები იდგა, მხოლოდ ნაკლები სიბეჯით და ენობრივი დეფექტები (სოვმატიზმი) ხელს უშლიდა ენის დაუფლებაში. მუშაობა მასთან იყო რთული, რადგანაც ჩვენ, პედაგოგები, არ ვფლობდით მის მშობლიურ ენას და, ბუნებრივია, საწყის ეტაპზე გვიჭირდა მისთვის ახსნა თუნდაც მარტივი კომუნიკაციების ან საკითხავის დონეზე. მოსმენის სწავლების პროცესში ჩვენმა სტუდენტმა შეითვისა ლექსიკა და შეძლო მარტივი კომუნიკაციების განხორციელება უცხო გარემოში. სწავლებისას გამოყენებული იქნა „სკაფოლდინგის“ ელემენტები და ისეთი სტრატეგიები, როგორიც იყო კითხვის დასმა, შეხსენება, ილუსტრირება და ისეთი ვიზუალური რესურსები, როგორიცაა თვალსაჩინოება, ჟესტიკულაცია, კონტროლი აზრის გაგებაზე, პერიფრაზირება. ამან უზრუნველყო სტუდენტის უწყვეტი და აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესებში. ასევე გამოყენებული იქნა სრული ფიზიკური რეაქციის მეთოდი (ძირითადად „შენატანი“, დუმილის

პერიოდი“, გრამატიკაზე კონცენტრირების ნაცვლად რელევანტურ შინაარსზე დაყრდნობა და სხვ.). აღნიშნული მუშაობის შედეგად X-ს განუვითარდა მოსმენისა და მეტყველების უნარები, კითხვა-წერის უნარი. ამ მხრივ მას მიეცა არასომხურენოვან სივრცეში ინტეგრაციის საშუალება. საბოლოო გამოცდების შედეგების მიხედვით, სტუდენტს გააჩნია, სავარაუდოდ, A2 დონის ცოდნა ქართულში, როგორც მეორე ენაში. მაგრამ შემდგომი სწავლების გასაუმჯობესებლად პრობლემებმა მაინც იჩინა თავი. ეს პრობლემები ძირითადად ეხება მარტივი სინტაქსური კონსტრუქციებიდან რთულ ფრაზეოლოგიზმებით დატვირთულ ტექსტებზე გადასვლას, რაც მოითხოვს სათანადო მეთოდოლოგიის შემუშავებას.

რაც შეეხება სილაბუსსა და სახელმძღვანელოებს, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ბათუმის შეხვედრის მასალებიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა კახა გაბუნიას, გიული შაბაშვილის, ნინო შარაშენიძის, ნანა შავთვალაძის და სხვათა სანიმუშო მასალები და საკითხავები. ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე საგნის სილაბუსსა და საკითხავზე. სწავლების პირველი სემესტრი საბასური მეტად საპასუხისმგებლოა როგორც

დექტორ-მასწავლებლის, ისე სტუ-
დენტისათვის. ამიტომ ამ ეტაპზე
შერჩეული საგნები - წერა-კითხვა,
მოსმენა-ლაპარაკი ენის საწყისი
ბარიერის ორთოეპიული და
ორთოგრაფიული სიზუსტით აღქმის
უნარ-ჩვევების გამომუშავებას
ემსახურება. ჩვენ საანალიზოდ
შევარჩიეთ მოსმენა. აღნიშნული
კურსი, სილაბუსიდან გამომდი-
ნარე, მიზნად ისახავდა ქართული
ენის პრაქტიკულ გამოყენებას
მთელი რიგი ზეპირმეტყველების
მიზნებისათვის, საუბრის წარმარ-
თვის უნარ-ჩვევებს, ქართულ ენაზე
სხვადასხვა ტიპის ტექსტების
შეთხვის, გადმოცემის, ანალიზის,
ინტერპრეტაციისა და რეპროდუქ-
ციის უნარებს. უნდა გან-
ვითარებულიყო კოგნიტური,
სოციალური, სისტემური, საკო-
მუნიკაციო უნარები. ყოველივე ეს
ჯდებოდა 5 კრედიტის ანუ
კვირეული დატვირთვის 3 საათის
ჩარჩოში. თუმცა აქედან 1 საათი
სალექციით უნდა ყოფილიყო, სამივე
საათი წარმოსდგა ლექცია-
პრაქტიკულის ანუ ლექცია-საუბრის
ფორმად. ჩვენი აზრით, ასეთმა
ფორმამ უკეთესი შედეგი გამოიღო.
თითოეული საკითხი იშლებოდა
პრაქტიკულ ასპექტებად და
სტუდენტს საშუალება ეძლეოდა
ყოველმხრივ, დროულად, გააზრე-
ბულად აღექვა იგი 3 საათის
განმავლობაში. შესანიშნავად იყო

შერჩეული ნაცნობი ლექსიგის
შემცველი ლექსების, დიალოგებისა
თუ მცირე მოცულობის თხრობითი
ტექსტები; ხმის ტემბრით,
ინტონაციით პერსონაჟის ამოცნობა.
აქ მობილურმა კავშირმაც
შეასრულა თავისი როლი.
პირველივე კონტაქტიდან სტუდენტი
ცნობდა ლექტორის ხმას და
შედარებით ნელი ტემპით
საუბრიდან თითქმის იგებდა
საუბრის აზრს. საუბრის ტემპის
შემდგომი აჩქარება არაიშვიათად
ჩაგვირთავს ტელეფონით კომუნი-
კაციისას. მოკლე და მარტივი
შეტყობინებები თანდათან გადა-
ვიდა რთული ფრაზების აღქმამდე-
პირველი შუალედური შეფასებისას
აქცენტი კეთდებოდა დიალოგებზე
(ბაზარში, საპარიკმახეროში, ქუჩა-
ში, ტელეფონზე); მეორე შუალე-
დური შეფასებისათვის უკვე
გამოყენებული იქნა ჩაწერილი
აუდიოტექსტის (საინფორმაციო
ჩართვის) მოსმენა და გაგება,
ტელეგადაცემის ნაწყვეტის აღქმა-
ბაგება და, ბოლოს, კომპიუტერის
მონიტორიდან მოსმენილი ტექსტის,
ჩანაწერის გაგება - საპასუხო ტექ-
სტით.

საგამოცდოდ შერჩეული
ტექსტები ემსახურებოდა სტუ-
დენტში შესწავლილი მასალის
პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამო-
ხატვას, ქმედებაზე ორიენტირე-
ბულს. სახელმძღვანელო-საკი-

თხავის შემდგომი ტექსტები რთულდებოდა, აქ საჭირო ფრაზეოდოგიზმები შედარებით ძნელდა ჯდებოდა სტუდენტის „საბაზისო მარაგში“, მაგრამ, ვფიქრობთ, ის მეტ-ნაკლებად, თავისთავად შეუწყობს ხელს

მარტივიდან რთულზე გადასვლას, ადვილად გასაგებიდან რთულის აღქმასაც და აზრის გამოტანას მოსმენილის ირგვლივ. ვფიქრობთ, აღნიშნულმა საკითხავმა საგანში „მოსმენა“ გაამართლა თავისი დანიშნულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაბუნია, 2008 - პ. გაბუნია, ენობრივი პოლიტიკა და საქართველოს განათლების სისტემა, კრებულიდან: I სამეცნიერო კონფერენციის მასალები (სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საგანმანათლებლო სივრცეში), 2008, გამომცემლობა საიმედო.

მერჩულე, 1999 - გრიგოლ მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, კრებულიდან: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1999, თბ., მეცნიერება.

ტაბატაძე, 2008 - შ. ტაბატაძე, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, კრებულიდან: I სამეცნიერო კონფერენციის მასალები (სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საგანმანათლებლო სივრცეში), 2008, გამომცემლობა საიმედო.

შჩუკინი, 1990 - Щукин А, Методика преподавания русского языка как иностранного, 1990, Москва.

Tamar Gogoldze

Marika Sherezadashvili

Gori State University

From the practical experience of teaching Georgian as a second language

ABSTRACT

Issues and approaches that are related to learning of state language is very different for the states that have a ethnically homogeny population from those characterized with the diverse ethnic composition where every ethnic group has its own language, culture and traditions. These issues are specifically challengeable for Georgian, former republic of Soviet Union since the historical heritage determine influence of Russian assimilatory educational policy as towards the ethnically Georgian population so towards the other ethnic groups living in Georgia.

As a result of independance of Georgian Republic, in 1990-1991 the section of Georgia language for non-Georgian local population were established by the Gori Music School which existed one year long and provided us with interesting results and invaluable practical experience.

Since 2010-2011 we have been actively involving in teaching process of Georgia as a second language. This article represents practical examples of our efforts.

ნათელა მაღლაკელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მულტილინგური განათლება და მშობლიური ენის სრავლების მეთოდიკა

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ენის სწავლების მეთოდთა უნიფიკაციის ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვს მულტილინგურ სკოლაში. მისი მიზანია, გააშუქოს, თუ რა გავლენას ახდენს უცხო ენების მეთოდიკა მშობლიური ენის მეთოდიკაზე, რამდენად მისაღებია მშობლიური ენის სწავლებისათვის ის ახალი სტრატეგიები, რომლებიც უცხო ენების სწავლებაში გამოიყენება დღეს.

უცხო ენების მეთოდოლოგიის გავლენა ყველაზე საგრძნობია წერა-კითხვის სწავლების მეთოდების შერჩევისას. „ამერიკულ“ (იგივე „სიტყვათხედვის“, ანუ „მთლიან სიტყვათა“) მეთოდს ანალიზურ მეთოდთა რიგს მიაკუთვნებენ. ქართული ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა, აქ იმდენი ასოა, რამდენიც ბერძნული და იმდენი ბერძნული - ასო. სიტყვა ისევე იწერება (უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა) როგორც წარმოითქმის. სწორედ ამიტომაც ი. გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“ წერა-კითხვის სწავლებისას ბერძნით ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს მისცა უპირატესობა, რადგანაც იგი სრულად შეესაბამება ქართულის, როგორც ფონეტიკური დაწერილობის ენის, თავისებურებასა და სპეციფიკას.

დღეს კვლავ გაჩნდა ცდები ქართულ სინამდვილეში „ამერიკული“ მეთოდის ბრძან გადმოტანისა, თუმცა იგი არ შეეფერება ქართული ენის, როგორც ფონეტიკური დაწერილობის ენის, სპეციფიკას; უფრო მეტიც – ეწინააღმდეგება მას.

მულტილინგური სკოლა
მშობლიური ენის სწავლებასაც
გულისხმობს; უფრო მეტიც –
მშობლიური ენა არის ის ენა, რო-
მელსაც ეფუძნება მომავალი თაო-

ბის განათლება და სულიერი ფორ-
მირება.

ქართული ენა ქართულ სკო-
ლაში არა ერთ-ერთი საგანია,
არამედ სხვა საგანთა სწავლების

საფუძველიც. სტატიის მიზანი ამჯერად სრულიადაც არ გახდავთ იმაზე საუბარი, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს სკოლაში, ან რა ფუნქცია ეკისრება მშობლიურ ენას პიროვნების აღზრდისა და განათლების საქმეში (ეს ცალკე სტატიების თემაა); ჩვენ დღეს გვინდა ვისაუბროთ ერთ კონკრეტულ საკითხზე - რა გავლენას ახდენს ენების სწავლების მეთოდთა უნიფიცირება მშობლიური ენის მეთოდიკაზე; რამდენად მისადებია მშობლიური ენის სწავლებისათვის ის ახალი სტრატეგიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უკრიტიკოდ გადმოგვაქვს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ისე, რომ არ ვთვალისწინებოთ ორ ძირითად ფაქტორს: ა) მშობლიური ენის რაობასა და მნიშვნელობას პიროვნების ფორმირებისას და ბ) მშობლიური ენის (ქართულის) სპეციფიკასა და ლინგვისტურ თავისებურებებს.

ქართული სკოლა თავისი არსით ყოველთვის მულტილინგური იყო. საკმარისია, გავიხსენოთ იყალთოსა და გელათის აკადემიები, სადაც მშობლიურ ენასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა უცხო ენების სწავლებასაც – ბერძნულსა და ლათინურს. ჩვენი დიდებული ერისკაცების ცხოვრების აღწერისას კი ბიოგრაფები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მათ მიერ უცხო ენების მაღალ დონეზე ფლობას.

უცხო ენების სწავლებას განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს და ამაზე არავინ დავობს. მაგრამ ისმის საკითხი: შეიძლება, ეს მეთოდები, რომლებიც გამართლებულია და მისაღები უცხო ენების სწავლებისას, ბრმად მოვარგოთ მშობლიურ ენასაც?!

რატომდაც ხშირად გვავიწყდება, რომ მშობლიური ენა პირველ რიგში აზროვნების ენაა და არა მხოლოდ ძირითადი სამეტყველო კომპეტენციები – კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი. არადა, დღეს აქცენტი მშობლიური ენის სწავლებისასაც ამ ოთხ ძირითად კომპონენტზე გახდავთ გადატანილი. არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ უცხო ენისაგან განსხვავებით მშობლიურ ენას არ სჭირდება საგანგებო შესწავლა, მას ბუნება მზამზარეულად ახვედრებს ბავშვს. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, “4-5 თუ არა, 7-8 წლის ბავშვი მაინც პრინციპულად დაუფლებულია სამშობლო ენას... ამიერიდან მისი ენის განვითარება მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას განიცდის...” (უზნაძე, 2003, გვ. 592). “სკოლაში მისულმა 6 წლის ბავშვმა ეს ენა ხშირად იმაზე კარგად იცის, ვიდრე თვით ლინგვისტიკაში გაწაფულ მასწავლებელს შეეძლება მას აუხსნას” (რამიშვილი, 2000, გვ. 28).

ვფიქრობთ, მშობლიური ენის სისტემური გრამატიკის სწავლებაზე უარის თქმა და მისი ოდენ ფუნქციონალურ გრამატიკამდე დაყვანა იმ მოტივით, რომ მისი ცოდნა ბავშვს მშობლიურ ენაზე დაპარაკისას არ სჭირდება და იგი მხოლოდ უცხო ენის შესწავლისას არის აუცილებელი – არ არის მიზანშეწონილი. გავიხსენოთ დ. უზნაძის სიტყვები: “მან (საუბარია 7 წლის ბავშვზე) ლაპარაკი იცის და ლაპარაქი თვევისი ენის მორფოლოგიასაც ფლობს, სინტაქსაც და სემანტოლოგიასაც... მაგრამ ამის შესახებ თვითონ ბავშვმა არაფერი იცის, საჭიროა მათი ობიექტივაცია და გაცნობიერება... და აი აქ სკოლა დახმარებას უწევს: იგი გრამატიკას ასწავლის მას და ამით იგი ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჲყავს... მეტყველების ფორმა ცნობიერი ხდება (უზნაძე, გვ. 593). მაშასადამე, როდესაც ჩვენ მშობლიური ენის გრამატიკის სწავლებაზე გამბობთ უარს, ამით ხელს ვუშლით მეტყველების ფორმის გაცნობიერებასა და ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე ბავშვის ასვლას.

უცხო ენების მეთოდოლოგიის გავლენა კიდევ უფრო საგრძნობია წერა-კითხვის სწავლების მეთოდების შერჩევისას. წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში გამოყენებულ უკელა მეთოდს პირობითად

სამ ჯგუფში აერთიანებენ: ა) ანალიზურ, ბ) სინთეზურ და გ) ანალიზურ-სინთეზურში. “ამერიკულ” (იგივე “სიტყვათხედვის”, ანუ “მთლიან სიტყვათა”) მეთოდს ანალიზურ მეთოდთა რიგს მიაკუთვნებენ (რამიშვილი, 1967, გვ. 68).

ეს მეთოდი საფრანგეთში წარმოიშვა. ამ მეთოდით წერა-კითხვის შესწავლისას ძირითადი საანალიზო ერთეული არის არა ასო (ან მარცვალი), არამედ სიტყვა მთლიანად. ამიტომ მას იყენებენ იმ ენებში, სადაც წარმოთქმა და წერა, ასო და ბგერა ერთმანეთს არ ემთხვევა. იმისათვის, რომ მოსწავლემ ამ ენებზე სიტყვის მართლწარმოთქმა და მართლწერა ისწავლოს, საჭიროა მთლიანი სიტყვის გრაფიკული სახის დამახსოვრება, დაზეპირება როგორც მხედველობით, ისე წარმოთქმით, მოსმენითა და წერით. დაზეპირების გარეშე ამ ენებზე მეტყველი ბავშვი სწორად ვერ წერს იმ ასოთა კომბინაციას, რომელსაც სულ სხვა ვერბალური სახე აქვს. სწორედ ამიტომაც არის ეს მეთოდი გავრცელებული ევროპასა და ამერიკაში, ამიტომაც არის აგებული ამ პრინციპით ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, თურქული, ესპანური... ანბანის სახელმძღვანელოები.

ქართული კი, როგორც ცნობილია, ძირითადად ფონეტიკური

დაწერილობის ენაა, აქ იმდენი ასოა, რამდენიც ბგერა და იმდენი ბგერა, რამდენიც – ასო. სიტყვა ისევე იწერება (უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა) როგორც წარმოითქმის. სწორედ ამიტომაც ი. გოგებაშვილმა თავის “დედა ენაში” წერა-კითხვის სწავლებისას ბეჭრით ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს მისცა უპირატესობა, რადგანაც იგი სრულად შეესაბამება ქართულის, როგორც ფონეტიკური დაწერილობის ენის, თაგისებურებასა და სპეციფიკას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით ქართველი ბავშვები სრულიად უმტკიცნეულოდ, საკმაოდ მოკლე დროში სწავლობენ წერა-კითხვას, ამას ადასტურებს ჩვენი სკოლის მრავალწლიანი გამოცდილება (შეგასსენებთ, რომ ამ მეთოდით შედგენილი ი. გოგებაშვილის “დედა ენა” 1876 წელს დაიბეჭდა და ამის შემდეგ მას ალტერნატივა ფაქტიურად არ ჰქონია). ამიტომ თითქოს არ უნდა იყოს მისი სხვა მეთოდით, განსაკუთრებით კი “ამერიკული” მეთოდით ჩანაცვლების საჭიროება; მიუხედავად ამისა, დღეს მაინც გვიხდება ამაზე საუბარი, რადგანაც მომრავლდა უცხოური ენების მიბაძვით შედგენილი ანბანის სახელმძღვანელოები.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გაუქმდა ქართველი განმანათლებლების მიერ დიდი რუდუნე-

ბითა და ძალისხმევით შექმნილი ეროვნული დაწერილი სკოლა, ხოლო ახალი – საბჭოური – ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის (1920-1930-იანი წლების) ანბანის სახელმძღვანელოებზე ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ ი. გოგებაშვილის “დედა ენას” მაინცდამანც აღარ სწყალობდნენ – ის მხოლოდ 1925 წლამდე გამოიცემოდა. ამ დროიდან კი, უცხოურის მიბაძვით, სკოლაში მონდომებით ამკვიდრებდნენ ქართული ენისათვის შეუსაბამო და უსარგებლო მეთოდებს, მათ შორის “ამერიკულსაც”, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი უცხოური (ამდენად, ახალი და პროგრესული) იყო.

სწორედ ამის გამო (და უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ამ მეთოდს იმ დროისათვის მეტად მაპროცოცირებული სახელი – “ამერიკულიც” – ერქვა), დაიწყო ამ მეთოდის დამკვიდრება ქართული წერა-კითხვის სწავლებაში. იგი მეცნიერული შესწავლისა და დასაბუთების გარეშე დანერგეს ქართულ სკოლაში. ჩვენ ვერ მივაკვლიერ სპეციალურ სამთავრობო დადგენილებებს ამ მეთოდის გამოყენების შესახებ, თუმცა იგი, ალბათ, აუცილებლად არსებობდა, რამდენადაც ამ მეთოდს პოპულარიზაციას უწევდნენ და იყენებდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა საბჭოთა

რესპუბლიკაში. ერთი სიტყვით, ეს იყო საბჭოეთში ამ მეთოდის “აყვა-გების” წლები.

20-იან წლებში ანბანის რამ-დენიმე სახელმძღვანელო შეიქმნა ამ მეთოდზე დაყრდნობით. ესენია: 1. 1926 წელს – ვ. ძიძიგურისა და ა. გვასარიას “პირველი წიგნი”; 2. 1927 წელს – ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის “ახალი წიგნი”; 3. 1928 წელს – ტ. ზაალიშვილის “ვისწავლოთ”; 4. 1933 წელს – პ. ჭანიშვილის “შრომა და ცოდნა”...

სახელმძღვანელოების ანა-ლიზიდან ჩანს, რომ ვერც ერთი ავტორი ვერ ახერხებდა ამ მეთოდის “სუფთა” სახით გამოყენებას. იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ქართული ენის ბუნებისათვის, ასევე – უკვე დამკვიდრებული ტრადიციისათვის. მოგვიანებით კი თითქმის ყველა ეს ავტორი მიუბრუნდა სწავლების ტრადიციულ გზას.

ადსანიშნავია, რომ არც ერთ ამ სახელმძღვანელოს არ ეწოდება “დედაენა”, რამდენადაც ავტორებს შეგნებული პქონდათ, რომ მათ სახელმძღვანელოებს ი. გოგებაშვილის ამ წიგნთან არაფერი აკაგშირებდა, გარდა ტრადიციული “აი ია”-სი. დღეს ეს სახელმძღვანელოები არავის ახსოვს, რადგან მათ ვერ შეასრულებს თავიანთი მთავარი ფუნქცია - წერა-კითხვა ესწავლე-

ბინათ ქართველი ბავშვისთვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ 40-იანი წლებიდან სკოლა მასობრივად დაუბრუნდა ჯერ ი. გოგებაშვილის “დედა ენას”, შემდეგ კი ამ წიგნის მიხედვით შედგენილ ნ. ბოცვაძისა და ეპ. ბურჯანაძის “დედაენას” (1944 წ).

ჩვენ წარსულის მოხმობა მხოლოდ იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა – ზოგიერთი ის “სიახლე”, რასაც დღეს უცხო ენების მიმბაძელობით ხელადებით ვწერგავთ მშობლიური ენის სწავლებისას, ჩვენთვის კარგად დავიწყებული ძველია, რომელსაც ისტორიამ უკვე მიუწინა თავისი ადგილი და მისი ხელახლა გამოცდა მოსწავლებზე ნამდვილად არ არის საჭირო.

ჩემი წერილი კი მინდა დავასრულო ჩვენი საყვარელი კლასიკოსის ი. გოგებაშვილის სიტყვებით: ”მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებს და დარჩით მარტო დედაენის ამარაო... ისწავლეთ რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით უკროპული ენები, მაგრამ არასდროს არ დაიიგიწეოთ, რომ ყოველი უკროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენას და შემდეგ შეუდგება უცხო ენების შესწავლას”. (გოგებაშვილი, 1973, გვ. 187).

ბამოზენებული ლიტერატურა

გოგებაშვილი, 1973 - ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული
პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1973.

რამიშვილი, 2000 - გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000.

რამიშვილი, 2003 - ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ.
1967.

უზნაძე, 2003 - დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ. 2003.

Natela Maghlakelidze

Ilia Chavchavadze State University, Faculty of Science and Art

Multilingual School and Native Language Teaching Approach

ABSTRACT

The 20s of the previous century for Georgian school were the era of great novelty. This was the period when Soviet school hadn't been formated yet, but it was vividly seen the experiment to create the first system of multilingual education. This is the period of fascination and overstated with foreign methods. This was the only reason why in the process of language teaching wasn't taken into consideration the specificity of these languages and the difference of the English language itself and was being established the American method in teaching writing and reading. We were failed to find out the specific state resolution about the usage of this method, though it was probably existed, as far as it was clear that this method was being adored and popularized and was used not only in Georgia, but in all the post soviet republics. In a word it was in the soviet epoch, the flourishing of this method.

This method was used not only teaching the foreign languages (English, German, French....), but in the teaching process of native languages as well (Russian, Georgian, Armenian, Kyrgystanyan.....).

How much was consented and justified the unification of American method in the teaching process of all languages? All the methods in the history of teaching writing and reading are united in three groups. They are the following: a)analytical, b) synthetical, c) analytico-synthetical. "American" method is being belonged to the analytical methods. This method despite to its title was originated in France. According to this method in the process of teaching writing and reading the main analytical unit isn't the letter but the whole word itself. That's why this method is used in the teaching of those languages where the pronunciation and writing don't coincide. In order to study the writing in these languages a school student has to learn the whole graphical unit (a word), a student has to study using visual aids and other skills and abilities: listening, pronunciation and writing. Without studying by heart a child can't write the combination of letters which has got the quite difficult verbal sight. This was the reason why this method was so widely spread in Europe and America. This is the principle why English, French, German, Greek, Turkish, Spanish.... textbooks are constructed.

Georgian language as it is known is mainly a phonetically alphabetical language. Here we have got the same number of sounds and letters. We've got the coincidence in writing and the oral , the word is written as it is pronounced. That's why while writing his “Deda Ena” (“Mother Tongue”) Iakob Gogebashvili used analytica-synthetical method while teaching writing and reading as this method totally corresponds to the specificity of Georgian language as phonetically written language. That's the reason why this method was inculcated in the teaching process of Georgian writing and reading (In those days this method had the provocative name “American”) and was established in Georgian schools under the scientifically discussed and researched.

Several textbooks were created based on this methods in the 20s. They are the following: 1.1926, V. Dzidziguri and A.Gvakharia-“The First Book”; 2.1927, N.Botsvadze and E.Burjanadze-“The new book”; 3.1928 T.Zaalishvili “Let's study”; 4. 1933 P.Chanishvili “Work and knowledge”...

Today nobody recalls these books. As they didn't fulfill their major aim-teaching writing and reading to Georgian children. This was the reason why from the 40s all schools in Georgia returned to I.Gogebashvili “Deda Ena” (“Mother Tongue”) and then to the books (by N.Botsvadze and Ek.Burjanadze “DedaEna”) constructed and based on this input.

თამარ თვალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრესის მასალებზე მუშაობის რეკომენდაციები

პპსტრაქტი

პრესის მასალების დიდი როლი უცხოური ენის მომავალი სპეციალისტის მომზადებაში, ერთის მხრივ და ამ მასალების სწავლების მეთოდების საუძველიანი გამოკვლევების ნაკლებობა განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას, რომლის მიზანია პრესის მასალებზე მუშაობის ისეთი რეკომენდაციების შემოთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პრესის მასალების ღრმა გაგებას, მეორე მხრივ კი, ამ მასალების გამოყენებით, სამეტყველო უნარ-ჩვევების მაღალ, უცხოური ენის პროფესიონალის შესატყვის დონეზე განვითარებას. პრესის მასალებთან მუშაობის ორგანიზაცია მაღალ მოთხოვნებს უყენებს უმაღლესი სასწავლებლის უცხოური ენის მასწავლებლს ფსიქოლოგიური გამჭრიახობისა და პროფესიული ოსტატობის კუთხით. შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება უმაღლესი სასწავლებლის უცხოური ენების მასწავლებლებს მუშაობის 4რაციონალიზაციაში, სწავლების ეფექტურობის გაზრდაში.

ინგლისური ენის სწავლების დროს პრესის მასალების გამოყენების აქტუალურობა მდგომარეობს მის ფუნქციონალურობაში, ანუ მათი რეალური გამოყენების ორიენტაციაში, რამდენადაც ისინი ქმნიან ბუნებრივ ენობრივ გარემოსთან თანაზიარობის ილუზიას, რაც სპეციალისტთა აზრით მეთოდიკის სფეროში წარმოადგენს ძირითად ფაქტორს უცხოური ენის წარმატებით დაუფლებისათვის. ბოლო პრიოდში შედარებით გავრცელებუ-

ლია ორიენტაცია ისეთი ტიპის სწავლებაზე, რომელიც სტიმულს აძლევს სტუდენტთა ინტელექტუალურ და ზნეობრივ განვითარებას და ააქტიურებს მათ პოტენციურ შესაძლებლებს. ვ. რიჩარდსონი კონსტრუქციულ პედაგოგიკას განსაზღვრავს, როგორც “შეიქმნას ჯგუფში მოღვაწეობის ორგანიზაციისა და მეთოდების გამოყენების პირობები, რომლებიც დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქციულ მეთოდზე, აგრეთვე მიზნების დაყუ-

ნება, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტთა განვითარებაზე, საგნის ღრმა გაგებაზე, ასევე აზროვნების განვითარებაზე, რაც აუცილებელია მომავალი სწავლებისათვის (რიჩარდსონი, 2003). კომუნიკაციური უნარების მაქსიმალური განვითარება - აი ძირითადი, პერსპექტიული, მაგრამ არც ისე ადვილი ამოცანა, რომელიც დგას უცხოური ენის მასწავლებლების წინაშე, რის გადაჭრისათვის აუცილებელია ყველა სახის სამეტყველო მოღვაწეობის განვითარების ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენციის ფორმირებაზე მიმართული სწავლების ახალი მეთოდების ათვისება. თანამედროვე გარემოში ინგლისური ენის სწავლება ავთენტიკური მასალის გამოყენებით საფუძვლიანად მკვიდრდება უცხოური ენის სწავლების მეთოდიკაში და შესაბამისად ინგლისურენოვანი მასედიაც სასწავლო მიმართულებას იძენს. სასწავლო დანიშნულებით პრესის გამოყენება მოიაზრებს ენობრივი და ინფორმაციული დონის ამაღლებას.

არ არსებობს მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სრულყოფილს და მიესადაგება ყველა სასწავლო პროცესის სიტუაციას. უფრო შედეგიანია სწავლების პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი მეთოდების და ვარიანტების შერჩევა. ყოველი სასწავლო სიტუაციისათვის

უნდა შეირჩეს ოპტიმალური მეთოდი. მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ სწავლება/სწავლა (learning) - ეს ძირითადი პროცესია, ხოლო სტუდენტი/მოსწავლე - ეს ცენტრალური ფიგურაა განათლებაში. მასწავლებლის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს არა ცოდნის გადაცემაში, არამედ მისი ფორმირების პირობების შექმნაში. აღსანიშნავია, რომ უცხოური ენის დაუფლება, განისაზღვრება სასწავლო საგნისადმი სტუდენტის დამოკიდებულებით, მიღრეცილებით, ამორჩევითი ინტერესებით, სწავლითი ქმედების ორგანიზაციის შეფასებით და სხვა. ჯ. ბიგს და ქ. ტანგსს (ბიგსი, ტანგი, 2007) მიაჩნიათ, რომ განათლების სფეროში უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რომლებიც დააყენებენ სტუდენტს ამ სფეროს ცენტრში. პრესაზე მუშაობის მთავარი ამოცანებია: ინფორმაციის აღქმა-გაგების, გადამუშავების, შეფასების, გადაცემისა და მის შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. პრესაზე მუშაობისას სტუდენტებს უვითარდებათ ანალიზისა და სინთეზის უნარი, დაკვირვებულობა, მიხვდრის სტრატეგიები, განზოგადებისა და დასკვნების გამოტანის უნარი. ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა ენის სტრუქტურისა და ლექსიკური მარაგის შეფასება.

უცხოური ენის სწავლებისადმი დროით განპირობებული ახლებური მიღობა სწავლების ახალი მეთოდიკის შემუშავებას გულისხმობს.

უცხოური ენის სწავლების მეთოდიკაში საგაზეთო ტექსტის შემოტანამ თანამედროვეობა შემოიტანა აუდიტორიაში. პრესის მასალებზე მუშაობის უნარ-ჩვევების ფორმირება უზრუნველყოფს, როგორც ენობრივი უნარ-ჩვევების სრულყოფას, ასევე ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან ახალი ინფორმაციის, გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების მიღებას. უცხოური ენის მაღალ დონეზე სწავლებისას პრესის მასალების დიდი როლის მიუხედავად, ამ მასალებზე სწავლების მეთოდიკა მაინც და მაინც არ გამოკვლეულა. მაშასადამე, პრესის მასალების

დიდი როლი უცხოური ენის მომავალი სპეციალისტის მომზადებაში, ერთის მხრივ და ამ მასალების სწავლების მეთოდების საფუძვლიანი გამოკვლევების ნაკლებობა განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას, რომლის მიზანია პრესის მასალებზე მუშაობის ისეთი რეკომენდაციების შემოთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ პრესის მასალების დრმა გაგებას, მეორე მხრივ კი, ამ მასალის გამოყენებით, სამეტყველო უნარ-ჩვევების მაღალ, უცხოური ენის

პროფესიონალის შესატყვის დონეზე განვითარებას.

გაზეთი მოზრდილი ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ საგაზეთო ტექსტზე მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლეს სასწავლებლებში. საგაზეთო სტატიების ლექსიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნება აძლიერებს მოტივაციას სტუდენტებში, რომლებიც გამუდმებით ეძებენ განახლებულ სასწავლო სტრატეგიებს. რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული საგაზეთო ტექსტების მოკლე და კონტექსტური შინაარსი ხელს უწყობს ათვისებული ლექსიკური მარაგის რეალიზებას.

უცრნალ-გაზეთების ენის თანამედროვეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი უნდა გახდეს სტუდენტების პროფესიონალებად ჩამოყალიბებისათვის. "პრესაზე" მუშაობაში უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ შესწავლილი მასალის შეთვისება, არამედ, ასევე გამოუმუშაოს სტუდენტებს უცნობ საგაზეთო პუბლიკაციებზე დამოუკიდუბელი მუშაობის უნარ-ჩვევები. აუცილებელია სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე მუშაობა: ლექსიკონთან მუშაობის უნარ-ჩვევების სრულყოფა, აკრონიმების, აბრევიატურებისა და შემოკლებული სიტყვების დეკოდირების უნარის განვითარება, სტილისტური

საშუალებების ადეკვატური აღქმა
და ა. შ.

შემოთავაზებული რეკომენდა-
ციები უცხოური ენის სწავლებისას,
წარმოადგენენ სტუდენტების შემოქ-
მედებით, პროდუქციული აზროვნე-
ბის განვითარების საშუალებებს.

პრესის მასალებზე მუშაობის
დაწყებამდე, საჭიროა ჩავატაროთ
მოსამზადებელი სამუშაოები ენო-
ბრივი მიხედრილობის სწავლების
მიზნით. სავარჯიშოების შესასრუ-
ლებლად სტუდენტებს უნდა მიეცეს
ორიენტირებული საფუძველი წესი-
ნისტრუქციის სახით. ქვემოთ მოყ-
ვანილი რეკომენდაციები მიეკუთვ-
ნებიან როგორც გაკვეთილის შესა-
ბამისი ეტაპის სტრუქტურას, ასევე
ეტაპებზე სწავლების ტექნოლოგიას.

ეს რეკომენდაციებია:

- მასწავლებელი თავაზობს
სტუდენტებს ახალ მეცნიერულ-
პოპულარულ ტექსტს, ითხოვს წაი-
კითხონ ტექსტის სათაური და ამ
სათაურის მიხედვით გამოთქან წი-
ნადადება მოცემული ტექსტის სა-
ვარაულო შინაარსზე (აზრობრივ
დონეზე მიხედრილობის განვითა-
რება). პასუხები შესაძლებელია
როგორც მშობლიურ, ასევე ინ-
გლისურ ენაზე (დამოკიდებულია
სტუდენტთა ცოდნის დონეზე);

- მასწავლებელი თავაზობს
სტუდენტებს გადაათვალიერონ
ტექსტი რამდენიმე წუთის (წუთების
რაოდენობას განსაზღვრავს მას-

წავლებების ტექსტის მოცულობისა
და სახეობის მიხედვით) განმავ-
ლობაში და გამოთქან (მშობლიურ,
ან ინგლისურ ენაზე) თუ რაზეა
საუბარი ტექსტი (დათვალიერები-
თი კითხვის უნარის განვითარება);

- მასწავლებელი მოითხოვს:
სტუდენტებმა წაიკითხონ (მასწავ-
ლებლის მიერ განსაზღვრულ დრო-
ში) მთელი ტექსტი და გაიგონ
მისი საერთო შინაარსი (გაცნობითი
კითხვის უნარის განვითარება). მო-
ცემული დაგალების შესრულების
ხარისხს მასწავლებელი აკონტრო-
ლებს კითხვებით;

- შემდეგი დაგალებაა: სტუ-
დენტებმა უნდა დაყონ ტექსტი
აზრობრივ ნაწილებად და დაასა-
თაურონ ისინი (ინფორმაციის გაა-
ზრების უნარის განვითარება და
ორთოგრაფიული წვევის განვითა-
რება);

- მასწავლებელი მოითხოვს:
სტუდენტებმა დაწერონ ტექსტის
ყოველი ნაწილის გეგმა. ეს გეგმე-
ბი განხილული უნდა იქნას და კო-
რექციის შემდეგ დაიწეროს დაფაზე
(წერითი მეტყველების და ორთო-
გრაფიული წვევის განვითარება);

- მასწავლებელი სტუდენტებს
თავაზობს ყურადღებით წაიკითხონ
ტექსტი და შეეცადონ ზუსტად და
სრულად (100 %-ით) გაიგონ მისი
ყოველი ფრაზა, ამასთან ნებადარ-
თულია ისარგებლონ ლექსიკონით
(ტექსტის შესწავლის უნარის გან-

ვითარება). გაგებინების კონტროლი ხორციელდება ფრაზების მშობლიურ ენაზე თარგმანის მეშვეობით;

- სტუდენტები აკეთებენ ტექსტის მინიშენებული ფრაგმენტის წერით თარგმანს, შემდეგ კი ერთობლივად შეაქვთ შესწორებები თარგმანში (თარგმანის უნარის ჩვევის განვითარება);

- მასწავლებელი თავაზობს სტუდენტებს განიხილონ ინფორმაცია წაკითხული ტექსტის შინაარსის შესახებ, შეაფასონ მისი სიახლე, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, ამ ინფორმაციით გამოწვეული დაინტერესების ხარისხი (დიალოგური და მონოლოგური ფორმის მოუმზადებელი საუბრის უნარი);

- სტუდენტები იღებენ საშინაო დავალებას - დაწერონ დამუშავებული ტექსტის ანოტაცია/რეზიუმე.

შემდეგ გაკვეთილზე ტარდება შემდეგი სამუშაოები:

- სტუდენტები წარმოადგენენ მათ მიერ შედგენილ ანოტაცია/რეზიუმეებს, მასწავლებლის მეშვეობით უკეთებენ კორექციას და აბარებენ შესამოწმებლად (წერითი მეტყველებისა და ორთოგრაფიული ჩვევის უნარის განვითარება);

- შემდეგ მასწავლებელი თავაზობს სტუდენტებს მოისმინონ წინა ტექსტის თემატიკისა და ენობრივი მასალის ანალოგიური სხვა სამეცნიერო-პოპულარული ტექსტი,

მაგრამ სხვა შინაარსისა და ნაკლები მოცულობის მქონე (თემატურად და ენობრივად გაფორმებული აუდიორების უნარის განვითარება);

- თავიდან სტუდენტები ისმენენ ამ აუდიოტექსტის დასათაურებას და გამოთქვამენ წინადადებებს შესაძლებელი შინაარსის შესახებ (აზრობრივი მიხედვილობის უნარის განვითარება);

- შემდეგ სტუდენტები ისმენენ მთელ ტექსტს საერთო შინაარსის გასაბებად (ინფორმაციული აუდიოტექსტის გლობალური გაგების უნარის განვითარება) და გადმოსცემენ შინაარსს თანაჯგუფელების გამონათქვამების შეჯერებით (მონოლოგურ ფორმაში მომზადებული საუბრის უნარის განვითარება).

მასწავლებელი ადგენს აუდიოტექსტის საერთო შინაარსის გაგების ხარისხს შემდეგი შესაძლებელი დავალებების დახმარებით:

- კითხვა-პასუხის ფრონტალური მუშაობით;

- სტუდენტების მიერ წარმოდგენილი აუდიოტექსტის გეგმის კორექციით (გეგმის შესწორება თანმიმდევრობის დაცვის კუთხით და/ან აუდიოტექსტის შესაბამისი შინაარსის მიხედვით);

- ტექსტის შესრულება წარმოდგენილი პასუხებიდან სწორი პასუხის შექმნა;

- სტუდენტები განმეორებით ისმენენ აუდიოტექსტს წინასწარ შედგენილი და კორექტირებული გეგმის საფუძველზე რეზიუმეს შესაღენად (რეზიუმეს შედგენის უნარის განვითარება);

- ტექსტის ხელახლი გაცნობის შემდეგ უნდა მოხდეს ტექსტში აღნიშნული საკითხების განსჯა, ტრაქტირება, კომენტირება და ცალპეული ფაქტების / მოვლენების შეფასება (მონოლოგური და დიალოგური ფორმის მოულოდნელი საუბრის უნარის განვითარება).

უშუალო გაგების მისაღწევად მთავარ ეტაპს წარმოადგენს ტექსტის შინაარსის შედარებით სრული გააზრებისკენ მიმართული სავარჯიშოები. საგაზეო ლექსიკის სწავლების დროს აუცილებელია შესიტყვებებთან მუშაობა და არა იზოლირებულ სიტყვებთან. მასწავლებელი სახელმძღვანელოებში ადგილად მოიპოვებს მრავალ საგაზეო სიტყვათშესამებებსა და შტამპებს. თუ მასწავლებელი სისტემატურად წარმართავს მუშაობას საგაზეო ტიპობრივი ფრაზებით, სტუდენტები თავისუფლად ადიქვამენ მათ გაზეთის კითხვის პროცესში.

გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ეს ერთი რეკომენდაცია არ არის საკმარისი თარგმანის გარეშე გაგების მისაღწევად. სიტყვათშესამებები შესაძლებელია გა-

საგები იყოს ტექსტში, მაგრამ საერთო აზრი დარჩეს გაუგებარი, რისთვისაც სასარგებლოა ტექსტების ვარირება. მასწავლებელს შეუძლია თვითონ შეადგინოს ტექსტები საგაზეო სტატიის ბაზაზე. ტექსტმა უნდა შეინარჩუნოს სტატიის ძირითადი აზრი. პირველი ტექსტის გაცნობის შემდეგ, სტუდენტები მეორე ვარირებულ ტექსტს მიიღებენ აზრობრივ დონეზე, მშობლიურ ენაზე ნიშნების გადაკოდირების გარეშე. უფრო ადგილად აღიქვამენ მესამე, მეოთხე და ა.შ. ტექსტებს. ტექსტის თითოეული ვარიანტის გაგების კონტროლი შესაძლებელია კითხვების დახმით.

უცხოენოვანი ლექსიკის ათვისება, სტუდენტის პოტენციური ლექსიკონის ფორმირება და გაფართოება შედარებით წარმატებით მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, როდესაც მას გამოუმუშავდება სიტყვის აზრობრივი სტრუქტურის ორიენტირების განზოგადებული მეთოდები.

უცხო ქვეყნის გაზეთისადმი სტუდენტთა ინტერესი ადგილად ცხრება პირველივე ძნელი შრომით გადათარგმნილი და ნახევრად გაგებული შენიშვნებით. გაზეთთან მუშაობის არასწორი ორგანიზაციით ეს მეცადინეობა შეიძლება გახდეს მათთვის მოსაწყენი და უიმედო.

მეოდურ ლიტერატურაში დამუშავებულია უცხოენოვან გაზეთზე მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისათვის აქ მნიშვნელოვანია პირველ რიგში დათვალიერებითი კითხვის მიზნის გაგება (რაც არ ითხოვს მთელი გადმოცემული ინფორმაციის სრულად გაგებას) და მეორეს მხრივ, გაზეთის სტრუქტურის საერთო ორიენტირების, მისი რუბრიკაციების, მასალების განლაგების, მუდმივი განყოფილებების უნარის დაუფლება. გაზეთან მუშაობისას შემუშავებული მეოდებით: სათაურების გაგების ვარჯიში, ნახატების ქვეშ წარწერები, ანოტაციების შედგენა, კითხვებზე პასუხების მოძებნა ტექსტში და ა.შ. მასწავლებლის მხრიდან კითხვის ტაქტიკური კონტროლით, სრულიად შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას მოთხოვნილი უნარების ფორმირება, რომლებიც შეიცავენ უცხოური ენის შესწავლის მოტივაციის ზრდის სერიოზულ რეზერვებს.

პრესის მასალების შინაარსობრივი ინტერპრეტაციის ორგანიზაცია, რომელიც შეიცავს განსხვავებული პოზიციების, აზრების, თვალსაზრისების შეპირისპირებას, პრინციპში შესაძლებელია ნებისმიერ თემატიკასთან მუშაობისას. ვვარაუდობთ, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე დისკუსიას ყოველთვის

ტაქტიკურად წარმართავს მასწავლებელი. განსაზღვრული რეგლამენტის ფარგლებში მიმდინარე სწავლებითი კამათის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა მდგომარეობს მასში, რომ აქ იქმნება წინაპირობები დისკუსიის კულტურის ფორმირებისათვის, ისეთი საერთო კომუნიკაციური უნარების გამომუშავება, როგორიცაა პატივისცემა სხვისი აზრისადმი, ოპონენტის პოზიციის გაგების უნარი და საკუთარი შეხედულების დასაცავად შედარებით დამაჯერებელი არგუმენტების მოძიება. ასეთ პირობებში ხდება პიროვნული თვითგამოხატვა და წარმოიქმნება რეალური სამეტყველო ამოცანა, აგრეთვე კომუნიკაციური მოტივაცია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინიციატივურ მონაწილეობას ურთიერთობაში.

პრესის მასალებთან მუშაობის ორგანიზაცია მაღალ მოთხოვნებს უქმნებს უმაღლესი სასწავლებლის უცხოური ენის მასწავლებელს ფსიქოლოგიური გამჭრიახობისა და პროფესიული ოსტატობის კუთხით. მასწავლებელი პასუხისმგებელია მასზე, რომ დაიყვანოს ცოდნა სტუდენტამდე. მისი ამოცანაა მოპოვოს სწავლების უფრო ეფექტური საშუალებანი და მეთოდები. მასწავლებლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს სწავლების/სწავლის უზრუნველყოფასა და მხარის და-

ჭერაში. მან თავისი მუშაობა უნდა წარმართოს სტუდენტების მიერ საჭირო შედეგების მისაღწევად. იგი უნდა დაინტერესდეს, გებულობენ თუ არა სტუდენტები მასალას და მოძებნოს მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს გაგების დონის ამაღლებას, სხვა სიტყვებით სწავლებამ სტიმული უნდა მისცეს სწავლას.

ზემოთ აღნიშნული ნებას გვრთავს შევაფასოთ იმ ამოცანების სირთულე, რომლებიც დას უცხოური ენის მასწავლებლის წინაშე

უმაღლეს საწავლებელში. მათი გადაჭრა მოითხოვს მისგან არა მარტო პროფესიული დონის მუდმივ ამაღლებას, არამედ სერიოზულ ძალისხმევას თავისი მოღვაწეობის ფსიქოლოგიური კულტურის სრულყოფისათვის.

შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება უმაღლესი სასწავლებლის უცხოური ენების მასწავლებლებს მუშაობის რაციონალიზაციაში, სწავლების ეფექტურობის გაზრდაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ფოცხვერაშვილი 6. Learning to read newspaper and Journals. თბილისი, 2004

ბიგსი, ტანგი, 2007 - Biggs J., Tang C., *Teaching for quality learning at university*. Open University Press, 2007

ფედენი, პრესტონი, ფოგელი, რობერტი, 2003 - Feden, Preston D., and Vogel, Robert M. *Methods of teaching: applying cognitive science to promote student learning*. Boston: McGraw-Hill, 2003

რამდსენი, 2003 - Ramsden P. , *Learning to teach in Higher Education*. Rautledge Falmer, 2003

რიჩარდსონი, 2003 - Richardson V. , *Constructivist Pedagogy in Teachers College Record*, 2003

Tamar Tvaladze

Akaki Tsereteli State University

Some recommendations while working on newspaper materials

ABSTRACT

While starting to work on the newspapers materials it is necessary to conduct information on peculiarities of newspaper style, difficulties of comprehension and ways to overcome these difficulties. Later on it is essential to define the role of press for the preparation of the future specialists. The aim of the article is offering such recommendations which will provide for one hand, the deep understanding of the press materials and for the other hand the formation of different kinds of skills.

In the article it is also viewed how to deal with subtitles (guidelines), abbreviations, illustrations accompanying the articles, stylistic devices and lexical peculiarities of newspaper style. The article emphasizes that the main methods of teaching press are: the analysis of discussing materials: information receiving and understanding, retelling and expressing own ideas on suitable points, the analysis of students' individual work and teachers' role analysis. We must admit that choosing appropriate (interesting, active, full of new words and phrases) newspaper article depends on the teachers and plays an important role in the mastering of different skills.

The article emphasizes that while working on newspaper materials it is important to apply to all types of reading: analytical and synthetic, translating, scanning and skimming, which help us a great deal of a deep and adequate understanding of newspaper materials.

The recommendations discussed in this article will help foreign language teachers to increase teaching effectiveness.

ლალი დალაქიშვილი

ბოლნისის ენის სახლის მასწავლებელი

სახელმწიფო ენის საგლების მდგრადარაობა ბოლნისის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში

აბსტრაქტი

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობების თემაზე ჩატარებულ კვლევებში აღნიშულია, რომ უმცირესობები, საზოგადოდ, გაუცხოებულად აღიქვამენ თავს. ინტეგრაციის ხელისშემშლელი უმთავრესი ფაქტორი სახელმწიფო ენის არცოდნაა.

სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით გასულ წლებში ბოლნისის რაიონში საქმაოდ დიდი სამუშაო ჩატარდა. სტატიაში წარმოდგენილია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისა და ბილიგური განათლების პილოტირების პროცესში წარმოჩენილი პრობლემები და ამ პრობლემათა გადაჭრის მიმართულებით კონკრეტული რეკომენდაციები.

საქართველო მრავალენოვანი და პოლიეთნიკური ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 13%-ს სწორედ ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობა აზერბაიჯანელები არიან.

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობების თემაზე ჩატარებულ რიგ კვლევებში აღნიშულია, რომ უმცირესობები, ზოგადად, მეორე კლასის მოქალაქეებად აღიქვამენ თავს. (გაუცხოებულნი არიან) მათი აზრით, მაშინ, როცა დანარჩენი ქვეყანა ვითარდება, იმ

რეგიონებში, რომელიც უმცირესობებითა დასახლებული, ცხოვრების პირობები არ უმჯობესდება. თუმცა, რეალურად საქართველოს სხვა რეგიონებშიც, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველია, მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, განსხვავებული არ არის.

უმცირესობების გაუცხოება რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული:

- კულტურულ-ეთნიკური კავშირების არარსებობა;

- გზებისა და კომუნიკაციების გაუმართაობა;
 - ინფორმაციული ვაკუუმი;
 - ეკონომიკური სიღუბჭირის გამო უმცირესობების მჭიდრო ეკონომიკური კავშირი უფრო მეტად მეზობელ სახელმწიფო ებთან, ვიდრე საქართველოსთან;
 - სახელმწიფო ენის არცოდნა; ჩვენი აზრით კომუნიკაციისა და ინტეგრაციისათვის ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი საერთო ენის არარსებობაა.
- ამ მიმართულებით გასულ წლებში რაიონში საკმაოდ დიდი სამუშაო ჩატარდა.

ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ინიციატივითა და სიგარეტის მწარმოებელი ფირმა „ფილიპ მორისის“ ფინანსური მხარდაჭერით ბოლნისის რაიონის ხუთ სოფელში: ჯავშანიანში, ქვემო ბოლნისში, ნახიდურში, ცურტავსა და ძველ ქვეშში შეიქმნა ქართული ენის კურსები საჯარო მოხელეებისათვის,

ეთნიკური უმცირესობების პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2003 წლიდან, ამავე დროიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრისა“ და ეუთოს ერთობლივი პროექტის „ენის კურსები საჯარო მოხელეებისათვის“ ფარგლებში შეიქმნა სამი წრე სკოლის დირექტორებისა და საჯარო მოხელეებისათვის.

თად, საქართველოში მოქმედი ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური დახმარებით განახორციელა პროექტი „ქართულის, როგორც მეორე ენის ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში“.

მოგვიანებით რაიონში გააქტიურდა ენის შემსწავლელი კურსების საქმიანობა. 2006 წლის სექტემბრიდან „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრისა“ და ეუთოს ერთობლივი პროექტის „ენის კურსები საჯარო მოხელეებისათვის“ ფარგლებში შეიქმნა სამი წრე სკოლის დირექტორებისა და საჯარო მოხელეებისათვის.

2007 წლიდან ენის შესწავლის საქმეში ჩაერთვნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარი გამოცდილება გააჩნია „საქართველოს ახალგაზრდული ცენტრების კავშირი აბნმ ბოლნისის ფილიალს“. მისი მხარდაჭერი იყო ეუთო. აქ 2007-2009 წლებში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში 231 მოსწავლეს ჰქონდა შანსი, აუმაღლებინა სახელმწიფო ენის ფლობის დონე.

2007 წლისვე აბიტურიენტების მოსამზადებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა ორი ჯგუფი. 2009

წელს საჯარო სკოლებში მარნეულის კულტურის ცენტრის ინიციატივითა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაფინანსებით ცხრა სკოლაში გაიხსნა ქართული ენის კურსები, თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია 20 მოსწავლე. პედაგოგები შეირჩა სკოლის დირექტორების მიერ, მიმდინარე წელს კი ჯგუფების რაოდენობა თორმეტამდე გაიზარდა.

ამ პროექტების განხორციელებამ მეტად აამაღლა არაქართველთა მოტივაცია, ელექტრონულ დონეზე დაუუფლნენ სახელმწიფო ენას, თუმცა, პრობლემა პრობლემად დარჩა, რადგან დღევანდელი სიტუაცია მაინც არაა დამაკმაყოფილებელი: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების (აზერბაიჯანელების) დიდი ნაწილი ვერ ფლობს სახელმწიფო ენას,

საჭიროა ბოლნისის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ქართული ენის ცოდნის ხარისხის ამაღლება, რაც უნდა განხორციელდეს ასევე სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართ მათი დაინტერესების ზრდის პირობებში, რადგან სხვა შემთხვევაში ვერც ერთი, რაც არ უნდა მაღალი ეფექტურობის მქონე პროექტი იყოს, ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას. გასათვალისწინებელია ასევე, რომ

აღნიშვნი ანალიზი ასეთივე წარმატებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა უმცირესობებთან მიმართებაშიც.

შექმნილი სიტუაციის შესწავლისა და გამოცდილების გაზიარების გათვალისწინებით განვიხილავთ რამდენიმე ალტერნატივას:

1. ბილინგური სწავლების მოდელის დანერგვა;
2. ქართული ენის მასწავლებლების მაღალკვალიფიციური კადრებით ჩანაცვლება;
3. ეთნიკური უმცირესობებისათვის ეროვნულ გამოცდებზე შეღავათიანი პირობების შეთავაზება.

ამ ალტერნატივებს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მახასიათებლები.

ქართული ენის მაღალკვალიფიციური კადრებით ჩანაცვლების მცდელობა უკვე იყო არაერთგზის განხორციელებული ჩვენს ქვეყანაში. ამ ალტერნატივის დადებითი მხარე ის არის, რომ კვალიფიციურ კადრს შეუძლია აამაღლოს სწავლების ხარისხი, გაზარდოს მოსწავლეთა დაინტერესება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ალტერნატივა არ ხასიათდება კომპლექსურობით და ვერ უზრუნველყოფს პრობლემის

სისტემურ გადაწყვეტას. ალტერნატივის შედეგების პროგნოზირებისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მისი ნაკლოვანი მხარეებიც. კერძოდ, დიდი დანახარჯები, პედაგოგთა ანაზღაურებისა და მათვის გამოყოფილი დამატებითი ფინანსების სახით; ერთჯერადი და არა სისტემატიზირებული ხასიათი; საჭირო კადრების სიმცირე და მოქმედების შეზღუდული არეალი; კადრების დაბალი პასუხისმგებლობის დონე, რომელიც შეუძლებელია დაძლეულიქნას თუნდაც მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ; დამოკიდებულება, რომლის თანახმად, მხოლოდ კადრები ვერ წყვეტენ პრობლემას;

ეთნიკური უმცირესობებისათვის ეროვნულ გამოცდებზე შედაგათიანი პირობების შეთავაზება — მიმდინარე წელს ეთნიკური უმცირესობებისათვის წესდება შედაგათიანი პირობები ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად. ამგვარმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია გაზარდოს მათი დაინტერესება ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის თვალსაზრისით და მეტს გაუჩინოს გამოცდებში მონაწილეობის სურვილი, თუმცა, ალტერნატივის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ის ვერ დაეხმარება

ეთნიკურ უმცირესობებს შეისწავლონ სახელმწიფო ენა საჭირო დონეზე. საბოლოოდ იმის გამო, რომ სათანადოდ არ ეცოდინებათ სახელმწიფო ენა, პროფესიონალიზმის დონითაც ვერ გაუწევენ კონკურენციას დომინანტ მოსახლეობას.

ბილინგვური განათლების მოდელის დანერგვა საშუალებას მისცემს ეთნიკურ აზერბაიჯანელებს დაწყებითი კლასებიდანგე მშობლიურ ენასთან ერთად დაუფლოს სახელმწიფო ენას, შეინარჩუნოს თავისი და გაეცნოს დომინანტი ერის კულტურასაც.

ამ მოდელის ძლიერი მხარე ის არის, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობები სასკოლო ცოდნის პარალელურად, შეძლებენ სახელმწიფო ენის შესწავლას ისეთ დონეზე, რომ მათვის ეროვნული გამოცდების ჩაბარება პრობლემად აღარ იქცევა, ენის ცოდნა მათ ხელს შეუწყობს ჩაებან სახელმწიფოს მშენებლობაში და მოეხსნათ გაუცხოების გრძნობა. შედეგად მივიდებთ ადგილობრივ კადრებს, რომლებიც თავის თემში უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის დაუფლებას, (ვგულისხმობთ ენობრივი გარემოს შექმნას). დაიზოგება თანხები, რომელიც გამოიყოფა იმ პედაგოგებისათვის, ვინც მოხალისედ მიდიან

აზერბაიჯანულ სოფლებში, მაგრამ ამ მოდელის განხორციელება დროშია გაწელილი. ასევე გასათვალისწინებელია, არასათანადო მომზადებულება მასწავლებლის მხრიდან მოსალოდნელი პროგრამული ჩავარდნებიც. აღნიშნული ალტერნატივის განხორციელება გამოიწვევს დანახარჯების ზრდასაც, რადგან თუ აქამდე დაწყებით კლასებში ერთი მასწავლებელი მუშაობდა, დღის წესრიგში დადგება ერთდროულად ორი მასწავლებლის მუშაობა, შესაძლებელია მოზარდს გაუჭირდეს ორი ენის ერთდროული შესწავლაც (საუკეთესო შემთხვევაში ასევე შესაძლებელია ერთმა მასწავლებელმა იტვირთოს ორივე ენაზე საგნის გაძლოლა, თუმცა ამის ალბათობა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ნაკლებია). აღნიშნული მოდელის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო გამოცდილების არსებობა, პირველი ნაბიჯები, რაც გადადგმულია ჩვენს ქვეყანაში მულტილინგვური განათლების დასამკვიდრებლად.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემის გაწყვეტის თაობაზე არსებულ ალტერნატივებს შორის გრადაციის დასადგენად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა სხვადასხვა კრიტერიუმები, რომლებმაც მოგვცა

შესაძლებლობა მიზანთან უკვლაზე მიახლოებული ალტერნატივის ასარჩევად წარმოდგენილი პრობლემის გადაწყვეტისათვის. ამ კრიტერიუმებით მოვახდინეთ წარმოდგენილი პოლიტიკის შედარება და ანალიზი.

ამ კვლევისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები.

- ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების მოტივაციის ამაღლების ხარისხი;
- ალტერნატივის განსახორციელებლად საჭირო დრო;
- ალტერნატივის დირექტულება;
- საზოგადოებრივი აზრი;
- ეთნიკური უმცირესობებისთვის დასაქმების მაჩვენებლის ზრდის შესაძლებლობა;
- ალტერნატივის ფარგლებში გათვალისწინებულ დონისძიებათა მოქმედების არეალი;
- ადგილობრივი თემის დაკმაყოფილების ხარისხი;
- პოლიტიკური კულტურის ზრდის მაჩვენებელი

ჩვენს მიერ ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებისას განვსაზღვრეთ თითოეული ალტერნატივის ძლიერი და სუსტი მხარეები, მოვახდინეთ ამ ალტერნატივების განვითარების საუკეთესო და უარესი სიტუაციების განხილვა და

შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე მოვახდინეთ არჩევანი.

მისი განხორციელება, ჩვენი აზრით, შემდეგი თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს:

1. პროგრამის მოსამზადებელი ეტაპი - მასწავლებლები, სკოლა, ადმინისტრაცია და მშობლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო ინფორმაციით პროგრამისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რათა მოხდეს ადგამატური დამოკიდებულების უზრუნველყოფა და უარყოფითი განწყობების მინიმიზირება;
2. მასწავლებლების გადამზადება ბილინგვური სწავლებისთვის, და ახალი კადრების მოზიდვა
3. დაწყებითი კლასების მასწავლებლის სერთიფიცირების განსხვავებული სისტემის შემუშავება, რათა შესაძლებელი შეიქმნას რეფორმის წარმატებული დანერგვა
4. პედაგოგთა გადამზადებისათვის დამატებითი გაუჩერების მოძიება და დაფინანსება
5. ბილინგვური სწავლების დანერგვა დაწყებითი კლასებიდან და სასწავლო-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს სახით „თავთავის“ გამოყენება.

ბილინგვური სწავლების მოდელის დასახერგად ასევე სასურველი იქნება:

- შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო;
- პროცესში აქტიურად ჩაერთონ მშობლები,
- გაიზარდოს პედაგოგთა დაინტერესების ხარისხი
- ეთნიკური აზერბაიჯანულებით დასახლებულ სოფლებში შეიქმნას საზაფხული სკოლები ენის არაფორმალური შესწავლისათვის.

შემოთავაზებული მოდელის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი იქნება შედეგის სახით ვიხილოთ სკოლადამთავრებული ახალგაზრდა, რომელსაც ექნება მაღალი მოტივაცია, ჩააბაროს ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლებში და მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში; იგი თავს გრძნობს მუდტიულტურული საზოგადოების წევრად, ადარ ექნება გაუცხოების განცდა, განათლების მთავარი დანიშნულებაც ხომ ესაა: ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლის ინტელექტუალურ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებასა და სრულყოფილ საზოგადოებრივ ინტეგრაციას.

Lali Dalakishvili

Teacher of Bolnisi Language House

State language learning situation of Azerbaijani population in Bolnisi

ABSTRACT

The researches conducted on ethnic minority issues in Georgia is mentioned that they still perceive themselves to be alienated. The main obstacles to integration is the lack of the knowledge of state language. In terms of language learning comparison with previous years there were carried out a lot of works in Bolnisi region. The article presents the problems of Georgian, as a second language learning through bilingual education, outlets and recommendations.

ნათელა მელიქიძე

ახალქალაქის ქნის სახლის მასწავლებელი

ბ0ლ0683მრ0 ბანათლების მხარდაჭერა ჯავახეთში

აპსტრაქტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბილინგვური განათლების მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს. ბილინგვური განათლების მხარდაჭერის მიზნით, 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში ევროკავშირის დაფინანსებით, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან“ ერთად განახორციელა ტრენინგები ჯავახეთის სკოლების დირექტორებისათვის, რომელთაც უძლვებოდნენ საგანგებოდ ამ პროექტისათვის მომზადებული მენტორები და კონსულტანტები.

სტატიაში წარმოდგენილია ამ ტრენინგების ანგარიში.

ბილინგვური განათლება თანა-
მედროვე საზოგადოების მოთხოვ-
ნაა. საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო მულტი-
ლინგვური განათლების კუთხით
მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორ-
ციელებს და მოწოდებულია,
განათლების სისტემა გახადოს
ეროვნულ უმცირესობათა საზო-
გადოებაში ინტეგრაციის უმთავ-
რესი ინსტრუმენტი; ხელი შეუწყოს
მოსწავლეებში ბილინგვიზმის, ანუ
ორი ენის (როგორც სახელმწიფო,
ისე მშობლიური ენის) ფლობის
უნარის განვითარებას, კეთილ-

განწყობილი დამოკიდებულების
ჩამოყალიბებას განსხვავებული
ლინგვისტური და კულტურული
ჯგუფების მიმართ. ბილინგვური
განათლების მხარდაჭერის მიზნით
2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში
ევროკავშირის დაფინანსებით
საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრომ „სამო-
ქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნუ-
ბათშორისი ურთიერთობების ცენტ-
რთან“ ერთად განახორციელა
ტრენინგები ჯავახეთის სკოლების
დირექტორებისათვის, რომელთაც
უძლვებოდნენ საგანგებოდ ამ

პროექტისათვის მომზადებული მენტორები და კონსულტანტები.

ტრენინგი ითვალისწინებდა ბილინგვური განათლების არსები გარკვევას, ბილინგვური განათლების პროგრამის მოდელების გაცნობას, პროგრამის დაგეგმვისას სხვადასხვა ფაქტორების (მოსწავლეების, ოჯახის, სკოლის, საზოგადოების....) გათვალისწინებას, სააპლიკაციო ფორმების შევსებას, ენისა და ბილინგვური გაკვეთილების შედარებას. ინტერკულტურული განათლების საკითხებს.

ტრენინგის მონაწილეებმა ისაუბრეს თავიანთი ენობრივი ბიოგრაფიის შესახებ (როდის რომელი ენა ისტავლეს და როგორ?), იმსჯელეს – რა ვითარებაში უფრო აღვილია ენის შესწავლა და რატომ? შეავსეს ტესტი: “როგორ ახერხებთ ენის ათვისებას?” ეს ყველაფერი დაეხმარათ, ეთქვათ, რომ ბუნებრივ გარემოში, ძალდაუტანებლად უფრო აღვილია დაუუფლო ენას, რომ სახელმწიფო ენის არცოდნა დამაბრკოლებელია ინტეგრაციისა და პიროვნული რეალიზაციისათვის, რომ სახელმწიფო ენის ფლობა განსაზღვრავს საზოგადოების პოლარიზაციას.

ბილინგვურ განათლებასთან დაკავშირებული მითების გაცნობისას (ბილინგვური განათლება, სამაგიდო წიგნი მასწავლებელთათვის. 2001) შეთანხმდნენ, რომ ბილინგვიზმის განხილვა პოზიტიურ კონტექსტში გულისხმობს ბილინგვალების ენობრივი და კოგნიტიური უნარების უპირატესობას მონოლინგურთან შედარებით.

ტრენინგმა მსმენელებს აჩვენა, რომ მშობლიური ენისაგან განსხვავებით ქართული როგორც მეორე ენა და ქართული როგორც უცხო ენა, ვითარდება სასწავლო გარემოში და არაბუნებრივ გარემოში, ამიტომ „ქართული გარემოს“ შექმნის გზებად დასახელდა: სკოლის ქართულისა და ქართულენოვანი მასწავლებლების საუბარი მხოლოდ ქართულ ენაზე. თვალსაჩინოებებისა და გამოფენების ქართული წარწერები, პარტნიორობის პროგრამები, საზაფხულო ბანაკები, ღონისძიებები, რადიოგადაცემებისა და ტელეგადაცემების იმიტაცია.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ ბილინგვური სწავლებისას ეფექტურია თანამშრომლობითი სწავლის ფორმა, რადგან ესაა ხელშემწყობი ზეპირი კომუნიკაციური უნარის

განვითარებისა. ამ დროს მონაწილეებს აქვთ თვითონებულიზაციის მეტი შესაძლებლობა, მაღალია პასუხისმგებლობა გუნდის წინაშე, უკითარდებათ სოციალური უნარ-ჩვევები, ეძლევათ აზრისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობა.

დასასრულ, ტრენერებმა და ტრენინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბილინგვური სწავლება ვერ განხორციელდება სწავლების აქტიური მეთოდების გარეშე (რეკომენდებულია თამაშების გამოყენება), პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების გარეშე.

Natela Meliqidze

The teacher of Akhalkalaki language house

Supporting of the bilingual education in Javakheti region

ABSTRACT

Ministry of Education and Science of Georgia is implementing the most significant activities on minority education issues. In order to support of bilingual education were conducted workshops for Javakheti school principles in November and December, 2010 by Center for Civil Integration and Inter-ethnic Relation financial support of EU. The workshops were carried out by specially trained trainers and consultants. The Article presents the report of this trainings.